საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიფცვაა, ფცუიღებით და ჭიარებით ბუჩთის გაფანა ყვეღა უკარისიღბაზე უსაძაგღესია.

შაბათი, 5 მარტი. 2016 წ. №42 (7934), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

თანამდებობას არავინ დატოვებსო!

ასე ეხმაურება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ რამდენიმე მინისტრმა შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობა შესაძლოა, დევნილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, გარემოს დაცვის მინისტრმა გიგლა აგულაშვილმა და თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა დატოვონ.

თინა ხიდაშელი უარზეა...

თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი მიიჩნევს, რომ „რესპუბლიკელებსა“ და პრემიერ-მინისტრს შორის გამართული შეხვედრის შესახებ უკვე საკმაოდ ნათელი განცხადებები გაკეთდა და, შესაბამისად, მისი კომენტარი საჭირო არ არის. ამის შესახებ მან მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

„მე არ მგონია, რომ რამე რთულია გასაგებად მათთვის, ვისაც უნდა გაიგოს, რა ითქვა. მე ამაზე მეტ კომენტარს ვერ გავაკეთებ, იმიტომ, რომ ორივე მხარემ, კოალიციის ორივე სუბიექტმა — „რესპუბლიკელებმა“ და პრემიერმა, როგორც „ქართული ოცნების“ ლიდერმაც, გააკეთა განცხადებები“, — განაცხადა ხიდაშელმა და დაადასტურა, რომ არც კოალიციის და არც თანამდებობის დატოვებას არ აპირებს.

„მე და საზოგადოების“ სკოლებში სწავლება 2017-2018 წლიდან დაიწყება

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის განცხადებით, ახალი საგნის „მე და საზოგადოების“ სწავლება სკოლებში 2017-2018 აკადემიური წლიდან დაიწყება. მისი განმარტებით, ამ საგნის სტანდარტი განიხილეს უმაღლესმა სასწავლებლებმა, საჯარო სკოლებმა, ასევე ეროვნულმა აკადემიამ.

„არც ერთ რეკომენდაციაში არ არის მითითება იმაზე, რომ ტექსტში რამე დისკრიმინაციულს შეიძლება ჰქონდეს ადგილი, ანუ ის მომენტი, რაზეც ეს ადამიანები ამდენი ხანია, აპელირებენ“, — განაცხადა მინისტრმა.

მისივე თქმით, არის უფრო პროფესიული და მეთოდური რეკომენდაციები და ერთი კვირის სამუშაოს შემდეგ გადაწყდება, საჭიროებს თუ არა მეთოდური და პროფესიული თვალსაზრისით ამ საგნის სტანდარტი გადამუშავება. სანიკიძის განმარტებით, შემდეგ დაიწყება მუშაობა სახელმძღვანელოზე, მასწავლებლებისთვის გადამზადების მოდელის შექმნაზე, მეთოდური მოდელის შემუშავებაზე და 2017-2018 აკადემიური წლიდან დაიწყება საგნის სწავლება სკოლებში.

თბილისის ორ საბავშვო ბაღში საალმზრდელო პროცესი დროებით შეჩერდება

თბილისის №132 და №95 საბავშვო ბაგა-ბაღში სასაწავლო-საალმზრდელო პროცესი დროებით შეჩერდება. როგორც „ინტერ-პრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, №132 ბაღში სასწავლო-საალმზრდელო პროცესი 10 მარტიდან 20 აპრილის ჩათვლით შეჩერდება, ამის მიზეზი დავით აღმაშენებლის გამზირზე პროექტ „ახალი თბილისის“ ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებია.

რაც შეეხება №95 ბაღს, მერიის ინფორმაციით, სასწავლო-საალმზრდელო პროცესი 14 მარტიდან 28 მარტის ჩათვლით შეჩერდება. რადგან თბილისის მერიის სსიპ „ტექნოლოგიური განვითარების ფონდი“ შენობის ენერგოგაუმჯობესების ხელშემწყობ სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ატარებს.

„აღნიშნული ბაღების აღსაზრდელების მშობლებს საშუალება ექნებათ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვი ახლომდებარე ბაღებში მიიყვანონ, რასაც ბაღის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს“, — ნათქვამია მერიის განცხადებაში.



მსახიობის პორტრეტი მოგონებებითა და ინტერმედიებით

6

ანუ მაყურებლისთვის ამის წაკითხვა ნებადართულია

„გოლდენ კომი“- გათიშე და იბატონე!

5

ჟურნალისტური გამოძიება

თუ ჯარისკაცი ხარ, შეეშვი ლოთობასა და აზარტულ თამაშებს!!!

2

მშვიდობით... ჰაუპტვახტო!

ცეცხლოვანი გულის კავკასიელი

10

გივი კარტოზიას ფენომენი

რა სნეულებებით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები - კომპოზიტორი იოჰანეს ბრამსი

9



და პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი

რას ყიდულობს საქართველო?

3

იმპორტის სტრუქტურა

უცხოური ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.470; ევრო - 2.6827;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4466;
100 რუბლი - 3.3361; თურქული ლირა - 0.841;
აზერბაიჯანული მანათი - 1.567;
1000 სომხური დრამი - 5.042

ამინდი 5 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +3,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე +1,	დღე +18
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +7,	დღე +22
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +17
თბილისი:	ღამე +6,	დღე +18

ჩვენი მისამართია:
თბილისი, მაჩაბლის ქ. №7
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE

◎ საგულისხმო წკიპარტები

როგორც ჩანს, ჩვენს პრემიერ-მინისტრს მრჩევლები არ უვარგანან

პარტიებსა და, მით უმეტეს კოალიციებში კი არა, ალბათ, ყველა ოჯახშია პრობლემები, რომელთა გარეთ გამოტანა და საჯაროდ გამოფენა ყოველთვის მიუღებელი იყო, და გონიერი ადამიანები, დარწმუნებული ვარ, მუდამ ასე იქცეოდნენ, იქცევიან და მოიქცევიან.

მაგრამ რატომღაც, და დიდად სამწუხაროდ, ასე არ იქცევა ჩვენი ამჟამინდელი ხელისუფლება და, კერძოდ, პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელმაც ნამდვილად სკანდალური განცხადება გამოაქვეყნა კოალიციის შიდა პრობლემური დღღილის თაობაზე, და ახალი წყლის ნაყვის საბაბი გაუჩინა ეგრეთ წოდებულ არასამთავრობოებს, ანუ გაუმჭვირვალ გამჭვირვალობას ენად გაკრეფილ, სწავლადაუმთავრებელ ახალგაზრდა იურისტებს და... ყველას რა ჩამოთვლის.

არადა, ნამდვილად აჯობებდა, თუ პრემიერ-მინისტრის განცხადება არა თოფაძე-ხიდაშელის შიდა პარტიულ ომს განსჯიდა, არამედ ხალხს იმ დაპირებების ხორცშესხმის გეგმას გააცნობდა, 2012 წლიდან დღემდე, საბედნიეროდ, ჯერჯერობით პირში ჩალაგამოუვლებლები რომ ველოდებით და ამ მოლოდინის იმედი მთლად ბოლომდე არ გაგვცრუებია.

რა გახდა ეს ელისაშვილია თუ მგელისაშვილი!..

მართალი გითხრათ, ტელევიზორის ჩართვა უკვე შემზარდა, ვიცი, რომ საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილი გამოჩნდება თავისი ანგელოზური პოზით და მოჰყვება უღირსებო კაცისთვის დამახასიათებელ ტრაბახს, მე პატიოსნება ჯიშად მომდევსო, შუბლისძარღვგაწყვეტილ ბესელიასგან და კობახიძისგან განსხვავებით, ჩემს მექრთამეობაზე აბესაძე და მელიაც ვერაფერს იტყვიან, უგრეხელიძესა და ხაბეიშვილზე რომ არაფერი ვთქვაო.

ისე, პატივცემულო მთავარო პროკურორო, ბატონო ირაკლი შოთაძე, ნუთუ არ შეიძლება, რომ გამოძიების ტემპი ცოტა უფრო დაჩქარო და, ბოლოს და ბოლოს, ცოტა „ფახი“ მისცე ინტრიგანებს, ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიო მტყუან-მართალი.

სხვა არა იყოს რა, დავიღალეთ ამდენი ლაქლაქითა და ყბედობით!

ვერც მაინცდამაინც დეპუტატებად ივარგეს და ლიმონათ-ლუდის ხარისხმაც იკლო

ძველთუძველესი სიბრძნეა, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მაგრამ, ვაი რომ, ამ ჩვენი პარლამენტის შემყურე ნახევრად მშიერი ხალხი ამას ვერ ხედავს.

თქვე დალოცვილო მრეწველებო, ტყემლიან თოფაძეებს მივმართავ, თუკი მრეწველობას უნდა გადაერჩინა საქართველო, რაღატომ გაექეცით ამ მრეწველობას, რატომ შეაფარეთ ეგ ქოჩორა თავები პარლამენტის თბილ ჭერს (ვითომ ყველაზე ადვილი საქმე სახელმწიფოს მართვაა?!)?!

ლუდის, კერძოდ, „ყაზბეგის“ სმის მოყვარული ხალხის თხოვნაა, დაუბრუნდეთ ისევ თქვენს საქმეს და რადგან დეპუტატის ხარისხის ამაღლებას ვერ ახერხებთ, იქნებ ლუდის და ლიმონათის ხარისხი მაინც შეინარჩუნოთ, რათა ამომრჩევლებდაკარგულებმა ლუდის მსმელებიც არ დაკარგოთ და ყველანაირად არ გაკოტრდეთ.

ნაციონალებო, არ გაძღა თქვენი მუცელი!

ეტყობა, ოდესიდან ახალი მითითება მოვიდა. ეს ბოლო დღეებია აშკარად გაყვარყვარებული დავით ბაქრაძე ქართლ-კახეთის შორეულ სოფლებს სტუმრობს და ნობათად კოცნა-პროშტნა ჩააქვს.

„ოცნებაზე“ ჯიგარაყრილი ქართლ-კახელი გლეხები, გაყვარყვარებული ბაქრაძისგან ჩაკოცნილ-ჩაპროშტნილები, იმედჩამდგარი თვალებით შესცქერიან ნაციონალების ერთ-ერთ ძველ ენაგაბრტყელებულ ცრუპენტელა პროპაგანდისტს, რომელიც მამალი ტყუილებით სავსე გუდა-სტვირს ახალი კეთილდღეობის დაპირებებით აჭყვიტინებს. გზა არა გაქვთ, გექნებათო, გაზი არა გაქვთ, გექნებათო, საქმე არა გაქვთ, გექნებათო, ოღონდ 2016 წლის არჩევნებში არ იგულმავიწყოთ და 5 ნომერი შემოხაზეთო. ამ მატყუარა „ოცნებას“ რომ არ შევეჩერებინეთ, ახლა ყველა თქვენი ნამდვილი ოცნება ახდენილი გექნებოდათო.

და დადის ასე სოფელ-სოფელ ხმების შესაგროვებლად სააკაშვილის ემისარი ყვარყვარე ბაქრაძე.

ათი წელი პარპაში არ ეყოთ, უძირო მუცელი ბოლომდე ვერ ამოივსეს, და რადგან ქმარს ოდესიდან არ უშვებენ, სიის სათავეში ახლა ჟანა დარკად სააკანთ ბიჭის ჰოლანდიელი ცოლი ჩააყენეს და ისევ ქვეყნის სათავეში მოსასვლელად ემზადებიან ქვეყნის ახალი ძალით გასაძარცვავად.

გურამ წიკლაური

საჯარო მოხელე ქცევის მაღალი სტანდარტით უნდა გამოირჩეოდეს

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ბათუმში მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა, რომელიც ბათუმის წყლის დირექტორს ალეკო მიქელაძეს უკავშირდება. მთავრობის სხდომაზე მან განაცხადა, რომ საჯარო მოხელე უნდა იყოს მაგალითი სახელმწიფოებრივი აზროვნების.

„მინდა, გამოვეხმაურო ერთ საკითხს, რომლის თაობაზეც საჯარო სივრცეში ინფორმაცია გაჟღერდა, შემდეგ მე მოვიკითხე ეს საკითხი. თუ არ ვცდები, ეს იყო ბათუმის წყლის ხელმძღვანელის საკითხი და გარკვეული ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაც შეკამათების შედეგად მოხდა ერთ-ერთი კვების ობიექტისთვის წყლის შეწყვეტა.

მინდა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვთხოვო, რომ მაქსიმალურად დეტალურად გავერკვეთ ამ საკითხში და საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ უნდა დავამკვიდროთ საჯარო მოხელის ქცევის ძალიან მაღალი სტანდარტი. თუ ეს საკითხი დადასტურდება, მინდა, რომ ამ პიროვნებამ სასწრაფოდ დატოვოს თანამდებობა. აუტანელია და ჩვენ ვერ შევეგუებით იმას, რომ საჯარო მოხელეები საკუთარ თანამდებობას იყენებენ იმისათვის, რომ საკუთარი სურვილები დაიკმაყოფილონ“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა და საჯარო მოხელეებს მოუწოდა, აჩვენონ თავმდაბლობის მაგალითი.

გავრცელებული ინფორმაციით, რესტორანმა „BK“-მ ბათუმში, ბათუმის წყლის დირექტორს ალეკო მიქელაძეს სასურველი მაგიდა ვერ შესთავაზა. ის რესტორნიდან გაბრაზებული წავიდა. რამდენიმე წუთში კი რესტორანს წყლის მიწოდება შეუწყვიტეს. ობიექტმა საკითხზე პროკურატურას მიმართა.

◎ მოასწარით, თორემ მერე...

გამგებლის მოადგილეების ხელფასები 700 ლარით გაიზარდა!

გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის ხელფასი 1300 ლარიდან 2000 ლარამდე გაიზარდა, ხოლო მეორე მოადგილის ხელფასი – 1250 ლარიდან 1900 ლარამდე.

ამის შესახებ ინფორმაცია შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან აცნობეს.

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მომზადებული პროექტი დღის წესრიგში უკვე შეიტანეს.

2016 წლის 12 თებერვალს ძველი დადგენილება გაუქმდა და ახალი დანართიც დამტკიცდა.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა ერთმანეთს 2015 წლის 28 აგვისტოს დადგენილება და ამჟამინდელი მონაცემები შეადარა.

ხელფასების მატებაა სამსახურების უფროსების, განყოფილების უფროსებისა და სპეციალისტების ანაზღაურებაშიც, ოღონდ, არა იმ პროცენტით, რამდენსაც პირველი მოადგილეები აიღებენ.

მაგალითად, **სამსახურის უფროსის ხელფასი 1000 ლარიდან 1400 ლარამდე იზრდება.**

განყოფილების უფროსის ხელფასი – 800 ლარიდან 1000 ლარამდე.
მთავარი სპეციალისტის ხელფასი – 560 ლარიდან 700 ლარამდე.
წამყვანი სპეციალისტის ხელფასი – 520 ლარიდან 650 ლარამდე.
უფროსი სპეციალისტის ხელფასი – 470 ლარიდან 630 ლარამდე.
სპეციალისტის ხელფასი – 430 ლარიდან 630 ლარამდე.
გამგებლის წარმომადგენლის ხელფასი 810 ლარიდან 1000 ლარამდე იზრდება.

qartli.ge

თუ ჯარისკაცი ხარ, შეეშვი ლოთობასა და აზარტულ თამაშებს!!!

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე სხვადასხვა პრევენციულ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვანია აზარტული თამაშებისა და სიმთვრალის ფაქტებთან დაკავშირებით მიდგომების გამკაცრება.

როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, სამხედრო მოსამსახურეების მიერ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა არის მნიშვნელოვანწილად განმსაზღვრელი ყველა იმ უსიამოვნო და სამწუხარო ფაქტისა, რაც უკავშირდება სამხედრო მოსამსახურის ფსიქიკურ სიჯანსაღეს და ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანს – სიცოცხლის უფლებას.

სამინისტრო ასევე ორიენტირებულია შეიარაღებული ძალების ღირსების დაცვაზე. თავდაცვის სამინისტროსთვის და მთლიანად შეიარაღებული ძალებისთვის ღირსების შემლახველი საქციელი პრინციპულად მიუღებელია და მის მიმართ სამინისტროს პოზიცია იქნება უმკაცრესი.

ისეთი ფაქტები, როგორიცაა სამხედრო მოსამსახურის მიერ სამსახურში, აგრეთვე სამხედრო ფორმით ყოფნისას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება ან ალკოჰოლური სასმელის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, მკაცრად დაისჯება.

შესაბამისი ცვლილებები საქართველოს შეიარაღებულ ძალების ახალი სადისციპლინო წესდების პროექტში უკვე აისახა. პროექტი მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება.

მუშიდობით... ჰაუპტვახტო!

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჰაუპტვახტები უქმდება.შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მზადაა და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება.

უწყების ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ამოცანა პრაქტიკაში დღემდე არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრაა. სწორედ ამ ნაკლოვანებების რიგს მიეკუთვნება სამხედრო მოსამსახურის ჰაუპტვახტში მოთავსება, რაც მნიშვნელოვანია, საკმაოდ მძიმე ჩარევაა პირის უფლებებში.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ ჰაუპტვახტში მოთავსება არაეფექტური იყო და ვერ უზრუნველყოფდა შეიარაღებული ძალებში დისციპლინის განმტკიცებას.

უწყებაში განმარტავენ, რომ სწორედ ამან განაპირობა მეტი ჰუმანური მიდგომების შემოღება, ახალ სადისციპლინო წესდებაში, რომლის მიხედვით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეების მიმართ უქმდება დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომა – ადმინისტრაციული პატიმრობა (ჰაუპტვახტში მოთავსება). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჰუმანური და სამართლიანი ნაბიჯი სამინისტროს მხრიდან სამხედრო დისციპლინის მიმართ ყურადღების მოდუნებას არ ნიშნავს. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციული დარღვევის მიმართ სამინისტროს მიდგომა იქნება უფრო მკაცრი და ადეკვატური.

„ნაპატიებ მევალეთა კლუბი“

მოძრაობა სწორი მიმართულებით

ჯერ იყო რუსეთის პირველი პირების, პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინისა და პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის განცხადებები იმის თაობაზე, რომ დასავლეთის მიერ ქვეყნისთვის სანქციების დაწესებას აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ მოწინააღმდეგეს სასურველ შედეგს მაინც არ მოუტანს, მერე ის, რომ ნედლ ნავთობზე ფასების ისტორიული მინიმუმი მას საკუთარი ეკონომიკის განვითარების უმძლავრეს სტიმულს მისცემს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. ეს კი, მაღალფარდოვან რიტორიკას თავი რომ დავანებოთ, ომისათვის მზადყოფნის შენიღბული მინიშნებაა, ყოველ შემთხვევაში ასე შეაფასეს იგი მიუკერძოებელმა, ნეიტრალურმა ანალიტიკოსებმა.

ამ ფონზე ნამდვილად მოულოდნელი იყო რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეული შეთანხმება სირიაში დაპირისპირებულ სახელმწიფო სამხედრო ძალებსა და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის 29 თებერვლიდან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც პრეზიდენტმა პუტინმა 22 თებერვალს გაასაჯაროვა. გამონაკლისს ამ შეთანხმებიდან რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებები წარმოადგენენ, რაც ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესის დაწყების იმედს იძლევა.

წინა თვეების ერთგვარად შემპარავი რიტორიკის ფონზე ასეთი შეთანხმება ბევრისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა ისევე, როგორც ირანისთვის დასავლეთის სანქციების მოხსნის შემდეგ ამ ქვეყანაში რუსეთის გავლენის აშკარა შესუსტება, რაც იქ არა რუსეთელი, არამედ ევროპული, ამერიკული და ჩინური კაპიტალის მიერ წამყვანი პოზიციების დაკავებით გამოიხატა.

რუსეთის პოლიტიკური მდინარე რაღაც იდუმალი საკუთარი კანონებით რომ მიედინება, ეს იმითაც გამოისახა, რომ, მიუხედავად იმ უდიდესი სავალუტო დანაკარგებისა, რაც ქვეყანაში ეგრეთ წოდებულ ნავთობდოლარების ნაკადის შესუსტებასა და დასავლეთის ქვეყნების მიერ სანქციების დაწესებას მოჰყვა, ის კვლავ განაგრძობს ძველი მოკავშირეებისთვისა და, უბრალოდ, კეთილად განწყობილი ქვეყნებისთვის უზარმაზარი საგარეო ვალების ჩამოწერას. **სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთმა, რომელიც ამ ქვეყნის სამართალმემკვიდრე დარჩა, თავის მოვალეებს დაახლოებით 140 მილიარდი დოლარი ჩამოაწერა.** ეკონომისტებმა დაითვალეს, რომ ეს თანხა გაცილებით მეტია, ვიდრე ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონებზე 2000-დან 2015 წლის ჩათვლით გაცემული ტრანსფერტების მთლიანი ოდენობა და დაახლოებით ოთხჯერ აღემატება 2015-16 წ.წ. ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტს!

რუსეთის მიერ მთელი რიგი ქვეყნისთვის ვალის ჩამოწერის ბოლო, მეტად საგულისხმო მაგალითია **მონღოლეთი,** რომელსაც სულ რამდენიმე კვირის წინათ მრავალმილიონიანი ვალი ეპატია. ბოლო ოთხი წლის მანძილზე მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპებით, ეს ქვეყანა მსოფლიო რეკორდსმენი გახლდათ. ჰოდა, სწორედ ასე სწრაფად განვითარებად ქვეყანას რუსეთმა 174 მილიონი დოლარი „აჩუქა“. თანაც გათვალისწინებულია ისიც, რომ გონიერი მონღოლები ქვეყნის ეკონომიკის წამყვან სექტორებში არც რუსეთულ, არც ჩინურ, არც ამერიკულ კომპანიებს არ უშვებენ — იქაურ ხელისუფლებას მშვენივრად ესმის გეოპოლიტიკური რისკების არსი და მხოლოდ ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობენ, ვისაც არც ზედმეტი პრეტენზიები, არც მოჭარბებული მადა აქვთ — ესენია, უმთავრესად, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ფირმები.

მონღოლეთის გარდა, რუსეთმა ხელგაშლილობა ასევე ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და სახალხო დემოკრატიის თითქმის ყველა ქვეყნის მიმართ გამოიჩინა. მათ შორის „ჩემპიონი“ კი **კუბა** გახდა, რომელსაც 2014 წელს 31,7 მილიარდი დოლარის ვალი ჩამოეწერა. მის შემდეგ მოდიან **ერაყი** (12 მილიარდი დოლარი 2008 წელს), იგივე **მონღოლეთი** (11 მილიარდი დოლარი 2003 წელს), **კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა** (11 მილიარდი დოლარი 2012 წელს), **სირია** (9,8 მილიარდი დოლარი 2005 წელს) და **ვიეტნამი** (9,5 მილიარდი დოლარი 2000 წელს). მილიარდ დოლარზე მეტი ვალით ამ სიაში ასევე არიან **ნიკარაგუა, ანგოლა, ლიბია, ალჟირი, ეთიოპია,** სხვები, მათ შორის **ყირგიზეთი** და **უზბეკეთი,** რომლებსაც, შესაბამისად, 2013 და 2014 წლებში, პირველს 500 მილიონი დოლარი, მეორეს კი 865 მილიონი დოლარი აპატიეს.

ექსპერტების ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ალჟირსა და ლიბიას ერთიანად 9,1 მილიარდი დოლარი იმ დროს ჩამოაწერეს, როცა ისინი დღეში მთლიანად 3,8 მილიონ ბარელ ნავთობს მოიპოვებდნენ, რომლის ფასი იმ ხანებში ისტორიულ მაქსიმუმთან ახლოს იყო. ანგოლა კი აფრიკაში სიდიდით მეორე ნავთობმომპოვებელი ქვეყანაა ნიგერიის შემდეგ, ხოლო ნიკარაგუა ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებს შორის მეორე არხის გადაჭრას გეგმავს, რომელიც, აუცილებლად გახდება პანამის არხის მძლავრი კონკურენტი.

მაგრამ, ყოველივე ამის მიუხედავად, რუსეთმა ამ ქვეყნებს უზარმაზარი ვალები ჩამოაწერა. ძნელად დასაჯერებელია, რომ ყველაფერ ამას რუსეთის ხელისუფლება წმინდა წყლის კაცთმოყვარეობის გამო აკეთებს და გარკვეული სტრატეგიული გეოპოლიტიკური ჩანაფიქრი არა აქვს. წლების მანძილზე ეს აშკარად გეგმაზომიერი პოლიტიკა კი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ რუსეთი კვლავაც რჩება ერთ-ერთ წამყვან ძალად მსოფლიო ასპარეზზე, ამიტომაც მასთან ნორმალურ, მათ შორის სავაჭრო ურთიერთობათა დალაგების მცდელობა, როგორც ამას დღესდღეობით საქართველოს მთავრობა ცდილობს და ასე ეწინააღმდეგებიან პოლიტიკური ოპონენტები, უდავოდ სწორი მიმართულებით მოძრაობაა.

ოთარ ტურაბელიძე

ინფორმაცია

იგეგმება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ბიუჯეტში ცვლილება ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას ითვალისწინებს. ხელისუფლება 2016 წლის ბიუჯეტის კორექტირებას გეგმავს.

ინფლაციის დონემ 5,6 პროცენტი შეადგინა

საქსტატის ინფორმაციით, 2016 წლის თებერვალში, 2015 წლის თებერვალთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში 5,6 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 4,6 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,43 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მნიშვნელოვანი მატება შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (33,0 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (10,6 პროცენტი) და ყავა, ჩაი და კაკაო (10,0 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: ფასები გაიზარდა 10,5 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 1,00 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები ძირითადად გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების (19,6 პროცენტი) და ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების (11,4 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში ფასები გაიზარდა 14,3 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,84 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების ზრდა დაფიქსირდა როგორც თამბაქოს ნაწარმის (16,5 პროცენტი), ასევე ალკოჰოლური სასმელების (14,0 პროცენტი) ქვეჯგუფებზე;

ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა: ფასები გაიზარდა 10,5 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,68 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

იმპორტის სტრუქტურა

რას ყიდულობს საქართველო?

როცა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლებზე ვსაუბრობთ, ძირითად აქცენტებს ყოველთვის ექსპორტზე, ანუ იმ მაჩვენებელზე ვაკეთებთ, რომელიც ქვეყანაში უცხოური ვალუტის წყაროა. ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება ის, რომ იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქციით ასევე აუმჯობესებს ხოლმე ქვეყნის სავალუტო ბალანსს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამიტომ საინტერესოა გადავხედოთ, რას ყიდულობს ქვეყანა ყველაზე მეტად. 2016 წლის იანვრის თვის საქონლის რეგისტრირებული იმპორტი 405.5 მლნ აშშ დოლარი იყო. 2015 წლის იანვრის თვესთან შედარებით, იმპორტი 25 პროცენტით შემცირდა.

საქართველოში იმპორტი ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან შემოდის: **თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ჩინეთი, გერმანია, უკრაინა, სომხეთი.**

ამ შვიდეულს შორის იმპორტის კლება აღირიცხა ყველა მიმართულებიდან, რუსეთის ფედერაციის გარდა, რაც ბუნებრივი აირისა და ნავთობპროდუქტების ზრდამ განაპირობა. შვიდეულის ქვეყნებში კლების განსაკუთრებით მაღალი ტემპი დაფიქსირდა ჩინეთისა და უკრაინის შემთხვევაში (46.6 პროცენტი და 32 პროცენტი, შესაბამისად).

შვიდეულის გარეთ იმპორტი მაღალი ტემპებით (20-50 პროცენტი) შემცირდა აშშ-დან, რუმინეთიდან, იაპონიიდან, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან და თურქმენეთიდან. იმპორტის საერთო კლების ფონზე აღსანიშნავია ზრდა რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაში. კერძოდ, იმპორტი გაიზარდა ბრაზილიიდან (სპილენძის მადნები და კონცენტრატები), გაერთიანებული სამეფოდან (სითხის ან აირის ხარჯის საზომი აპარატურა), იტალიიდან (ცენტრალური გათბობის ქვაბები და ავეჯი), საფრანგეთიდან (სამკურნალო საშუალებები) და სამხრეთ კორეიდან (მანქანები მასალების ტემპერატურული ცვლილებით დასამუშავებლად).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იანვარში იმპორტის დივერსიფიკაცია ქვეყნების მიხედვით მცირედით გაუარესდა. 2016 წლის იანვარში, იმპორტირებული საქონლის 12.9 პროცენტი მოდიოდა ბუნებრივი აირის იმპორტზე, რომელიც წლიურად 3.2 პროცენტით არის გაზრდილი. ნავთობსა და ნავთობპროდუქტების იმპორტზე გაწეულმა დანახარჯებმა წლიურად კვლავ იკლო, თუმცა ამჯერად უფრო ნაკლები ტემპით (-19.7 პროცენტი). იმპორტირებული ნავთობპროდუქტების საშუალო ფასი კვლავ მნიშვნელოვნად არის შემცირებული, ხოლო რაოდენობრივი მაჩვენებელი გაზრდილია. კვლავინდებურად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების შესყიდვები (33 პროცენტით). გასული წლის იანვართან შედარებით, მკვეთრად არის გაზრდილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების შესყიდვები, რომლის უდიდესი ნაწილი რეექსპორტზე გადის. რაც შეეხება იმპორტის სხვა კატეგორიებს, მოიკლო სატელეფონო და სატელევიზიო აპარატურის, გამომთვლელი მანქანების, მაცივრებისა და ავეჯის შესყიდვებმა. კვების პროდუქტების იმპორტმა წლიურად, დაახლოებით, 28 პროცენტით მოიკლო. ზრდა დაფიქსირდა რამდენიმე კატეგორიის შემთხვევაში. კერძოდ, მოიმატა შავი ლითონის მეტალოკონსტრუქციების, სარეცხ-საწმენდი და ჰიგიენური საშუალებების იმპორტზე გაწეულმა დანახარჯებმა. ასევე აღსანიშნავია სხვადასხვა სახის სპეციალური დანადგარებისა და მანქანა- მოწყობილობების (აირის ან სითხის ხარჯის საზომი აპარატურა, ძრავები ტურბორეაქტიული, მანქანები მასალების ტემპერატურული ცვლილებით დასამუშავებლად და ელექტრული ტრანსფორმატორები) იმპორტის მკვეთრი ზრდა.

ეს ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ, სოფლის მეურნეობის გარდა, იმპორტირებული საქონელი საქართველოში საკმაოდ ძნელად ჩასანაცვლებელია, თუმცა, ალბათ, შესაძლებელია მოინახოს რეზერვები, სადაც ქართველი მეწარმეებიც მოახერხებენ საინტერესო ინიციატივების განხორციელებას.

ნინო ევგენიძე,
რადიო „თავისუფლება“

როცა საქმე პიარისთვის კი არა, დაზარალებულია დასახმარებლად კეთდება

„წითელი ჯვრის“ ჰუმანიტარული მხარდაჭერის შედეგები

9 მარტს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება სერიოზულ ღონისძიებას გეგმავს. ეს იქნება ერთგვარი ანგარიშის ჩაბარება საზოგადოებისთვის, თუ რას წარმოადგენს ორგანიზაცია, რომელსაც საქართველოში თითქმის 100 წლის ისტორია აქვს. 13-14 ივნისს თბილისში განვითარებული სტიქიური მოვლენების დროს საქართველოს წითელი ჯვარი პირველი იყო, რომელიც მოსახლეობის გვერდით დადგა და ბოლომდე უშურველად იზრუნა მასზე, თუმცა, ყველაზე ნაკლები ინფორმაცია საზოგადოებას სწორედ ამ ორგანიზაციის საქმიანობაზე მიეწოდა. სამაგიეროდ, პროფესიონალურად და ეფექტიანად გაკეთებული საქმის სიკეთეს ამჯერად დაზარალებული მოსახლეობა იმკის და მათ მადლიერებასაც საზღვარი არა აქვს.

ორგანიზაციის შესახებ გვესაუბრება მისი პრეზიდენტი ნათია ლოლაძე.

— ქალბატონო ნათია, რატომღაც მეგონა, რომ თქვენი ოფისი გაცილებით სოლიდური იქნებოდა, თუმცა, არაფერი განსაკუთრებული. ერთი შეხედვით მდიდარი ორგანიზაციის შთაბეჭდილებას სულაც არ ტოვებს...

— ალბათ, ასეც უნდა იყოს, რადგან საქველმოქმედო დაწესებულებას საკუთარი თავისთვის ნაკლები დრო რჩება. მთელი ჩვენი ძალისხმევა საზოგადოებისკენაა მიმართული, ანუ თქვენი სიტყვები ერთგვარი ქათინაურიც კი არის...

— თქვენი ორგანიზაცია ჩვენი გაზეთის ასაკისა ყოფილა. ზუსტად1918 წლიდან ვარსებობთ ორივე და საკუთარ ისტორიას ვქმნით.

— საინტერესოა...ჩვენს ორგანიზაციას 98 წლის ისტორია აქვს ჩვენს ქვეყანაში. დღესდღეობით 37 ფილიალი გვაქვს, 26 საქმიანობათა ცენტრი, 3 პირველადი ჯანდაცვის კაბინეტი, პირველი დახმარების ცენტრი, ფსიქოსოციალური დახმარების ქსელი, კატასტროფებისთვის მზადყოფნის და რეაგირების ჯგუფები (480 კვალიფიციური მოხალისე) 21 მუნიციპალიტეტში.

— სულ რამდენი მოხალისე გყავთ?

— მთლიანობაში 15 ათასამდე, თუმცა, მათ შორის 9 ათას 700 აქტიური მოხალისეა.

— აქტიურში რა იგულისხმება?

— ესენი არიან წინასწარ მომზადებული, დატრენინგებული მოხალისეები, რომლებიც მუდმივად გადიან სწავლებას და მზად არიან სხვადასხვა კრიზისული სიტუაციებისთვის. როგორც იცით, 1997 წლიდან ჩვენს საქმიანობას აწესრიგებს საქართველოს კანონი „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების შესახებ“, რომლის თანახმად იგი ასრულებს მთავრობის დამხმარე ორგანიზაციის როლს ჰუმანიტარულ სფეროში. სწორედ ამ წლიდან ვართ „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, რომელიც 190 ეროვნულ საზოგადოებას აერთიანებს. 2008 წელს, პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს „წითელი ჯვრის“ ორგანიზაციას მიენიჭა საგანგებო როლი, რომლის თანახმად, სწორედ ჩვენ ვახორციელებთ საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაბმული არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებათა ორგანიზებას შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს კოორდინირებით...

— ანუ მრავალფუნქციურ საქმიანობას ეწევით...

— დიახ. „წითელი ჯვრის“ საზოგადოება საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დამხმარე რგოლია სამძებრო-სამაშველო საქმიანობების განხორციელებისას. ვეხმარებით ჯანდაცვის სამინისტროს პირველი დახმარების აღმოჩენისა და საველე ჰოსპიტლების მოწყობასთან დაკავშირებული საქმიანობების ორგანიზებაში. მხარს ვუჭერთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხო საკვებითა და წყლით მომარაგებაში.

— სამწუხაროდ, ყველა ამ ფუნქციის ერთად შეთავსება და შესრულება მოგიწიათ ივნისის ტრაგიკული მოვლენების დროს... და ასევე, სამწუხაროდ, ყველაზე ნაკლები ინფორმაცია სწორედ თქვენზე აქვს მოსახლეობას. ძალიან ბევრი ორგანიზაციის ხმა ისმოდა მედიაში, საჯარო სივრცეში, რომელმაც ქველმოქმედება გასწია, მაგრამ ყველაზე ნაკლებად — თქვენი.

— მართალი გითხრათ, ეს, ალბათ, ჩვენი ბრალიცაა, რადგან პიარისთვის თითქმის არაფერი გაგვიკეთებია. ყველაფერი გათვლილი იყო შედეგებისთვის, რომელიც დაზარალებულებს მდგომარეობას შეუმსუბუქებდა...

— და რა მომენტიდან ჩაერთო „წითელი ჯვარი“?

— პირველივე საათიდან სათადარიგო გეგმის შესაბამისად გამოცხადდა მოხალისეების მობილიზება და შეიქმნა საგანგებო ჯგუფი. გეგმა ითვალისწინებდა როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან მხარდაჭერას.

ასეთ დროს მნიშვნელობა აქვს სიტუაციის შეფასებას და მონიტორინგს. ჩვენი მოხალისეები აგროვებდნენ პირველად მონაცემებს დაზარალებულთა საჭიროებების შესახებ. ექიმამდელ დახმარებებს უწევდნენ დაზარალებულებს, ჩართული იყვნენ გაწმენდით სამუშაოებში და შესაბამისად იყვნენ აღჭურვილნი. ჰუმანიტარული მხარდაჭერის ჯგუფები მუშაობდნენ მიმღებ-გამანაწილებელ პუნქტებში, სადაც აგროვებდნენ და ახარისხებდნენ შემოწირულობებს. ამასთან ერთად, არანაკლებ საჭირო კომპონენტია ფსიქოსოციალური დახმარების მხარდაჭერა, რაც გულისხმობს პირველი დახმარების აღმოჩენას, დაზარალებულთან კონტაქტის დამყარებას, მათ გადაყვანას უსაფრთხო გარემოში, ნათესავთან, ახლობელთან და ა. შ. და მეთვალყურეობის გაწევას.

— რას გულისხმობდა გრძელვადიანი მხარდაჭერა?

— უპირველესად, ეს ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარულ მხარდაჭერას, თუმცა, ჩვენ გვერდში დაგვიდგნენ ადგილობრივი ბანკები, ეროვნული ორგანიზაციები. „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის წევრი ეროვნული საზოგადოებები, საჭიროებებიდან გამომდინარე, ყოველთვის მზად არიან, ერთმანეთის მხარდასაჭერად სათანადო ქმედებები განახორციელონ. არც ამჯერად დააყოვნა საერთაშორისო მხარდაჭერამ და კატასტროფებზე რეაგირების საგანგებო ფონდის მეშვეობით სწჯს-მ საბურთალოს მუნიციპალიტეტში 90 ოჯახს, ხოლო ვაკის მუნიციპალიტეტში — 150 ოჯახს (სულ 240 ოჯახს) გადასცა ჰუმანიტარული ამანათები. ყველა ოჯახმა მიიღო საბნები, ლეიბები, თეთრეულის კომპლექტები, ჭურჭლის, ჰიგიენური საშუალებებისა და საკვები პროდუქტების ამანათები. ევროკავშირისა და დანიის „წითელი ჯვრის“ მხარდაჭერით 329 დაზარალებულმა ოჯახმა მიიღო ფინანსური დახმარება. ისინი საქართველოს ბანკის მიერ დამზადებული სპეციალური ბარათის მეშვეობით ახორციელებდნენ თბილისისა და მის შემოგარენში მდებარე სუპერმარკეტებში: „ფრესკოსა“ და „სმარტში“, აფთიქებში: „ავერსი“, „ფარმადეპო“ და „ჯიპისი“ საკვების, საყოფაცხოვრებო ნივთებისა და მედიკამენტების შეძენას. ამავე პროექტის ფარგლებში ყველა ოჯახს საშუალება ჰქონდა, მიეღოთ კვალიფიციური ფსიქოსოციალური სერვისი...

— ამით დახმარება არ ამოწურულა, არა?

— რა თქმა უნდა, არა... როცა თბილისის მუნიციპალიტეტმა ყველა დაზარალებულ ოჯახს აუნაზღაურა კომპენსაცია და შეიძინეს საცხოვრებელი ფართები, აბსოლუტურად ყველა ოჯახს გადავეცით საოჯახო ტექნიკა: მაცივარი და ტელევიზორი.

რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში გავაგრძელებთ თბილისის წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა მხარდაჭერას...

— ამის პარალალურად სხვადასხვა პროექტებსაც ახორციელებთ...

— ჩვენ დამოკიდებული ვართ გრანტებზე, ფონდების მოძიებაზე... ძალიან ბევრი სასარგებლო პროექტი გვაქვს იდეაში. ბევრ პროგრამას ვახორციელებთ, მათ შორის სოციალური, ჯანდაცვის, ეკოლოგიური მიმართულებით. გამოვყოფდი დიაბეტის უფასო სკრინინგის პროგრამას. გვაქვს მობილური სამედიცინო პუნქტები და ისეთ სოფლებშიც კი შევდივართ, სადაც წლებია მოსახლეობას ჯანმრთელობის დიაგნოსტიკა არ ჩაუტარებია. ყველაზე მგრძნობიარე პროექტია ხანდაზმულთა დღის ცენტრები. ასეთი 27 ცენტრია გახსნილი, სადაც დღის განმავლობაში ერთობიან: ქსოვენ, ქარგავენ, მღერიან, ცეკვავენ, შემოქმედებით საღამოებს მართავენ. გაგიკვირდებათ, ისეთ ენთუზიაზმს ავლენენ ხოლმე ჩვენი მოხუცები...

და, რა თქმა უნდა, ჩვენთან მიმდინარეობს მუდმივი სწავლება, მომზადება, სიმულაციების მართვა, მაგალითად, კახეთსა და რაჭაში არა მხოლოდ მოხალისეების, არამედ მოსახლეობის სწავლებაც მიმდინარეობს. საჯარო სკოლებში, საგანმანათლებლო ცენტრებში ვავრცელებთ მასალებს, ვმუშაობთ ამა თუ იმ თემაზე და ა. შ. ჩვენ გვაქვს 4-წლიანი სტრატეგიული მიმართულება, რომელსაც ეტაპობრივად მიყვებით.

— ეს ყველაფერი, ალბათ, თქვენს საერთაშორისო რეზონანსზეც აისახება, არა?

— დიახ. ჩვენმა სათავო ორგანიზაციამ შარშან გამოაგზავნა მონიტორინგის ჯგუფი, რომელმაც ყველა ფილიალის მუშაობა სათითაოდ შეამოწმა და შეისწავლა. სამაგიეროდ, გენერალურმა ასამბლეამ დეკემბერში, ჟენევაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, საქართველოს „წითელი ჯვარი“ საუკეთესო ეროვნულ საზოგადოებად აღიარა და საგანგებო სერტიფიკატიც გადმოგვცა. ასევე მაკედონიას. როცა ათობით ქვეყნიდან საუკეთესო სტატუსს იღებ, ძალიან სასიამაყოა...

— შეიძლება ეს ერთგვარად ჩვენი რთული ყოფის დამსახურებაც კი იყოს... მეტი გაჭირვება მეტი მუშაობის შესაძლებლობას იძლევა.

— ამაში ვერ დაგეთანხმებით. თუ მოწოდებით ქველმოქმედი არა ხარ, თუ არ არის შენს ბუნებაში გაჭირვებულის გვერდით დგომა, ძნელია მუშაობა და კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავება.

— ანუ ჟენევაში მიღებული წარმატების სიმბოლო თქვენთვის სტიმულის მიმცემია. გისურვებთ წინსვლას, რაც შეიძლება ნაკლები კატაკლიზმებისა და ტრაგედიების ხარჯზე!

ესაუბრა
თეა მოსია

„გოლდენ კომი“-გათიშე და იბატონე!

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ხელისუფლებამ მაუწყებლობის ქსელიდან გათიშოს თავისთვის არასასურველი მედიასუბიექტი? ახლო წარსულიდან ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ალბათ, ყველა დაგვერწმუნება, რომ პირველი – ეს არის ძალისმიერი მეთოდი, რაც ხდებოდა ნაციონალური მმართველობის დროს 2004 და 2007 წლებში ტელეკომპანია „იბერიასა“ და „იმედის“ მაგალითზე. შედარებით უპრობლემოა ხელისუფლებისათვის, მედიასაშუალება გათიშოს თუნდაც მცირეოდენი ვადაგადაცილებული დავალიანების გამო. უნდა აღვნიშნოთ, რომ წარსულშიც და დღესაც პრაქტიკულად, მედიის ყველა სუბიექტს გააჩნია ამგვარი დავალიანება. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამაუწყებლო ქსელს მართავს სახელმწიფო საწარმო, მედიასუბიექტის გათიშვის კვალი ამ შემთხვევაში ისევ ხელისუფლებამდე მივა. აღნიშნულს ადგილი არ ექნება, თუ სამაუწყებლო ქსელის მართვა გადაეცემა ხელისუფლების მორჩილ კერძო იურიდიულ პირს. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა ამ პირს ვერ აუკრძალავს მოვალის ქსელიდან გათიშვას. სწორედ ამ გზას დაადგა სააკაშვილის ხელისუფლება, როცა 2012 წლის არჩევნებამდე რჩებოდა ერთი წელი და მისთვის ნათელი იყო, რომ ისინი ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ“ სწორედ ამიტომ 2011 წლის 18 ივლისს ჩატარდა შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრი“-ს (იმ დროს შპს „ალფა კომ“-ი) მართვის გადაცემაში ჩატარებულიყო ელექტრონული აუქციონი, გაიმარჯვა ერთადერთმა მონაწილემ – ყველასთვის უცნობმა შპს „გოლდენ კომ“-მა, რითი დასრულდა ამ შპს-ს მმართველობა? ამას უკავშირდება ჩვენი სააგენტოს ჟურნალისტური გამოძიება.

მმართველის დანიშვნის უსაფუძვლობა

შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრი“-ს ამჟამინდელი დირექტორის გ. დეკანოსიძის წერილობითი პასუხების მიხედვით 2011 წელს საწარმოს არ ესაჭიროებოდა ახალი მმართველი. ეს იმიტომ, რომ აუქციონის ჩატარებამდე 2007-2011 წ.წ. ის მაღალი დონის რენტაბელობის იყო, რომელსაც გააჩნდა აღნიშნულ პერიოდში ჰქონდა ყოველწლიური 100 ათასი ლარის მოგება და 2011 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“-მ მას მიანიჭა ნომინაციაში „წლის რეფორმატორი საწარმო“ გამარჯვებულის წოდება. საწარმო იყო დაკომპლექტებული მაღალი დონის სპეციალისტებით, მათი პროფესიონალური გამოცდილება, ათეული წლების განმავლობაში იხვეწებოდა.

აუქციონის კანონიერება

აუქციონის ჩატარებამდე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“-ს 2011 წლის 4 ივლისის №1-3/532 ბრძანების საფუძველზე (ხელს აწერს სააგენტოს თავმჯდომარე ა. ხოჯევანიშვილი) შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრი“-ს იურიდიული დასახელება შეიცვალა და გახდა შპს „ალფა კომი“. ეს მიანიშნებს, ვითომდაც საწარმო გადაეცა კერძო იურიდიულ პირს. აუქციონის ჩატარებამდე 2011 წლის 11 ივლისს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ საგენტოში დარეგისტრირდა შპს „გოლდენ კომ-ი. მის 100%-ან მესაკუთრეს და ერთადერთ თანამშრომელს (!) წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქე, **ვასილ ბოლაშვილი.** არც ამ შპს-ს და არც მის მესაკუთრეს ტელერადიო სამაუწყებლო ქსელის მართვის სფეროში არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა. შპს-ს საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 200 ლარს და აუქციონზე განაცხადის გაკეთების დღეს საბანკო ანგარიშზე მას სხვა ოდენობის თანხა არ ერიცხებოდა.

2011 წლის 18 ივლისს აუქციონში (აუქციონის ჩატარების შესახებ 2011 წლის 18 ივლისს №1/1338 ბრძანებას ხელს აწერს მინისტრის მოადგილე დ. გიორგაძე) შპს „გოლდენ კომ“-მა გაიმარჯვა. აუქციონის მთავარ მოთხოვნას წარმოადგენდა ის, რომ მმართველ პირს ოთხი წლის განმავლობაში შპს „ალფა კომში“ უნდა განეხორციელებინა 12 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია და სახელმწიფო ბიუჯეტში ყოელწლიურად შეეტანა 110 ათასი ლარი. თუმცა აუქციონის ჩამტარებელს ინვესტიციასთან დაკავშირებით „გამარჯვებულმა“ არ წარუდგინა სავალდებულო საბანკო 10%-იანი გარანტია და მისგან არ იყო მოთხოვნილი მაუწყებლობის ქსელის მართვის გამოცდილების არსებობის აუცილებელი დოკუმენტური დასტური.

ამით სამინისტრომ აუქციონთან დაკავშირებით უგულებელყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები. მიუხედავად ამისა, 2011 წლის 30 აგვისტოს სამინისტროს (ხელს აწერს პრივატიზაციის დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოებთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი ი. მარსაგიშვილი) და შპს „გოლდენ კომ“-ს (ხელს აწერს ვ. ბოლაშვილი) შორის გაფორმდა შპს „ალფა კომ“-ის ოთხწლიანი მართვის ხელშეკრულება.

აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტში არ აღინიშნა ინვესტიციასთან დაკავშირებული ოთხწლიანი გეგმის სავალდებულო გრაფიკი. თუ გავითვალისწინებთ მართვაში გადაცემული საწარმოს სახელმწიფოსათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას, უპირობო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით რეაგირება არ მოჰყვა არც საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან (ნ. გილაური), არც სახელმწიფო აუდიტის თავმჯდომარისგან (ლ. ბეჟაშვილი), არც პარლამენტის თავმჯდომარისგან (დ. ბაქრაძე) და არც მთავარი პროკურატურისგან, რომელსაც, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობდა იუსტიციის მინისტრი ზ. ადეიშვილი. ამით მათ ბოროტად გამოიყენეს თანამდებობრივი უფლება-მოვალეობა და ზემოთ დასახელებულ სამინისტროს თანამდებობის პირებთან ერთად არ გაითვალისწინეს შპს „ალფა კომ“-თან დაკავშირებით სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332 და 333 მუხლების მიხედვით, ამ პირთა აღნიშნული ქმედება წარმოადგენს მძიმე დანაშაულს.

ვ. ბოლაშვილის აშკარა სიცრუესა და სიყალბეს სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ეს კი ადასტურებს იმას, რომ სამინისტრო დაეთანხმა შპს „გოლდენ კომის“ კანონსაწინააღმდეგო მმართველობას, რაც ადასტურებს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა (მინისტრი – ვ. ქობალია, მინისტრის მოადგილე – დ.გიორგაძე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარე – ა. ხოჯევანიშვილი, მთავარი სპეციალისტი – ი. მარსაგიშვილი), შპს „გოლდენ კომის“ დირექტორმა ს. ბოლაშვილმა და შპს „ალფა კომის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. კავაძემ სსრკ-ს 182, 332 და 333 მუხლების მიხედვით ისევ ჩაიდინეს მძიმე დანაშაული.

მმართველის საქმიანობის კანონიერება

შპს „გოლდენ კომ“-ის მართველობა დაიწყო იმით, რომ სამინისტროს მხარემ არ ჩათვალა საჭიროდ, შეედგინა შპს „ალფა კომ“-ის მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების ერთობლივი აქტი. შპს „ალფა კომ“-ის გენერალური დირექტორი გ. დეკანოსიძე, შპს „გოლდენ კომ“-მა 2011 წლის 30 აგვისტოს №01-კ ბრძანების საფუძველზე გადააყენა დაკავებული თანამდებობიდან და მის სანაცვლოდ დანიშნა ვინმე ვასილ კავაძე, უკანასკნელი წარმოადგენდა შპს-ს ყოფილ პასუხისმგებელ თანამშრომელს, რომელმაც თავის დროზე არ გაიარა ნარკოტესტის შემოწმება, რისთვისაც იგი განთავისუფლებული იქნა სამსახურიდან. სამაუწყებლო ქსელის მართვის გამოცდილება არც ფინანსური და არც ტექნიკური თვალსაზრისით მას არ გააჩნდა. შპს „გოლდენ კომ“-მა საწარმოს მართვა ვ. კავაძის მეშვეობით რეალურად დაიწყო 2011 წლის 24 ნოემბერს. მოკლე ხანში ვ. კავაძემ საწარმოს საშტატო პერსონალის ოდენობა გაზარდა არაპროფესიონალთა ხარჯზე, შედეგად საწარმოს წლიური ბიუჯეტი უსაფუძვლოდ გაიზარდა 200 ათასი ლარის ოდენობით. შპს „საქართველოს ტელერადიო ცენტრი“-ს ამჟამინდელი გენერალური დირექტორის გ. დეკანოსიძის წერილობითი შეფასებით ამგვარი ქმედებით განიავდა სახელმწიფოს საწარმოს შემოსავლები. იმავე გ. დეკანოსიძის წერილობითი შეფასებით შპს „გოლდენ კომ“-ის მართვის დროს (2011-2012 წ.წ.) არ ჩატარდა ტელერადიო ქსელის ტექნიკური ბაზის ყოველწლიური აუცილებელი სარემონტო სამუშაოები, რასაც მოჰყვა საწარმოს ფინანსების გაუმართლებელი ეკონომია, რამაც ეჭვქვეშ დააყენა მისი ტექნიკური დონის მდგრადობა და იმედიანობა. 2012 წლის 26 აპრილს ვასილ კავაძის მიერ მიღებული №12-19 ბრძანების მიხედვით, პირადი განცხადების საფუძველზე სამსახურიდან გაათავისუფლეს შპს „ალფა კომ“-ის ტექნიკური დეპარტამენტის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მეანძე თ. რთველაძე, რამაც რისკის ქვეშ დააყენა ქსელის ანძების ექსპლუატაცია, მიუხედავად იმისა, რომ შტატში დატოვა ერთი მეანძე, რაც არ იყო საკმარისი. 2012 წლის 8 თებერვალს ვ. კავაძემ 2013 წლის 8 აგვისტომდე გააფორმა ხელშეკრულება შპს „მწვანე ტალღა“-სთან.

ამ დოკუმენტის მიხედვით შპს „მწვანე ტალღა“ იღებდა ვალდებულებას შპს „ალფა კომი“-ს 100 ათასი ლარის ღირებულების რეკლამის განთავსებაზე. შპს „მწვანე ტალღა“-ს ამით ჩამოეჭრა შპს „ალფა კომ“-ისადმი არსებული იმავე ოდენობის დავალიანება. ამ დროს უდავოა, რომ შპს „ალფა კომ“-ს მაუწყებლობის იურიდიულ პირებთან რეკლამა არ ესაჭიროებოდა. ამ აფერით შპს „გოლდენ კომ“-მა სახელმწიფო საწარმოს ფინანსები კიდევ ერთხელ გაფლანგა. ვ.კავაძემ 2012 წლის 18 მაისს კვლავ დაარღვია კანონი – სამაუწყებლო ქსელიდან უსაფუძვლოდ გათიშა შპს „სტერეო პლუსი“. ამით „სტერეო პლუსი“ ხელისუფლებამ დაარბია. შპს „ალფა კომი“-ს მმართველობასთან და შპს „სტერეო პლუს“-თან დაკავშირებით 2013 წლის 01,5 – 2013 წლის 01/11 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ გააკეთა დასკვნა, რომელიც წარდგენილი იყო საქართველოს პარლამენტში 2014 წლის 7 მარტს და შემდგომ გადაიგზავნა მთავარ პროკურატურაში. მთავარმა პროკურატურამ საგამოძიებო კომისიის დასკვნაზე არანაირი მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული რეაგირება არ მოახდინა, რაც წარმოადგენს დანაშაულის მიჩქმალვას. 2012 წლის ნოემბრამდე ვ. კავაძის წერილობითი განკარგვით სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხა შპს „ალფა კომი“-ს მიერ 2011 წელს მიღებული დივიდენტის ნაწილი – 126 ათასი ლარი. იმავე დროს შპს „გოლდენ კომ“-ის დირექტორის ვასილ ბოლაშვილის სამი წერილობითი განკარგვით ვ. კავაძემ შპს „გოლდენ კომ“-ს უკანონოდ გადაურიცხა შპს „ალფა კომი“-ს მოგების 210 ათასი ლარი. ეს მოხდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ოფიციალური დოკუმენტური შეთანხმების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ შპს „გოლდენ კომ“-მა არც ნაწილობრივ არ მოახდინა შპს „ალფა კომ“-ში 12 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია 2012 წლის 5 ოქტომბერს სიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს №1-1/67 ბრძანების საფუძველზე (ხელს აწერს მინისტრის მოადგილე დ. გიორგაძე) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და შპს „გოლდენ კომ“-ს შორის მართვის თაობაზე არსებული ხელშეკრულება შეწყდა. ამას წინ უძღოდა შპს „გოლდენ კომ“-ის (დირექტორი ვ.ბოლაშვილი) 2012 წლის 4 ოქტომბერს სამინისტროს მისამართით გაგზავნილი №38231/12 წერილი, სადაც აღნიშნულია – „როგორც თქვენთვის ცნობილი არის 2011 წლის 30 აგვისტოს შპს „გოლდენ კომ“-სა და საქ. ეკონომიკის სამინისტროს. შორის გაფორმებული მმართვის ხელშეკრულების თანახმად მართვის უფლებით გადმოგვეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს „ალფა კომი“-ს 100%-იანი წილი. აღნიშნული ხელშეკურლებით 2011 წლის 30 აგვისტოდან ვიკისრეთ რიგი ვალდებულებანი. მათ შორის 12 მილიონი ლარის „ინვესტირება“.

ვ. ბოლაშვილის აშკარა სიცრუესა და სიყალბეს სამინისტროს მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ეს კი ადასტურებს იმას, რომ სამინისტრო დაეთანხმა შპს „გოლდენ კომის“ კანონსაწინააღმდეგო მმართველობას, რაც ადასტურებს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა (მინისტრი – ვ. ქობალია, მინისტრის მოადგილე – დ.გიორგაძე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარე – ა. ხოჯევანიშვილი, მთავარი სპეციალისტი – ი. მარსაგიშვილი), შპს „გოლდენ კომის“ დირექტორმა ს. ბოლაშვილმა და შპს „ალფა კომის“ გენერალურმა დირექტორმა ვ. კავაძემ სსრკ-ს 182, 332 და 333 მუხლების მიხედვით ისევ ჩაიდინეს მძიმე დანაშაული.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს პუბლიკაციას გამოეხმაურება საქართველოს პრემიერ-მინისტრი გ. კვირიკაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დ. უსუფაშვილი, სახელმწიფოს აუდიტის სამსახურის თავმჯდომარე ლ. თორდია და მთავარი პროკურორი ი. შოთაძე... თუ გავითვალისწინებთ სსსსკ-ს მე-100 და 101 მუხლების მოთხოვნებს. ჩვენს პუბლიკაციასთან დაკავშირებით, გენერალური პროკურორი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაავალოს პროკურატურას სისხლის სამართლის საქმის აღძრა სსკ-ს 182, 332 და 333 მუხლების საფუძველზე.

თენგიზ ჩხიკვაძე,
ვადიმ დგებუაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

მსახიობის პორტრეტი მოგონებებითა და ინტერმედიებით



ანუ მაყურებლისთვის ამის წაკითხვა ნებადართულია

გურანდა გაგუნიაზე ვწერ და ვფიქრობ.

ტელევიზორიდან მესმის: „დღეს ჩვენი სტუმარია ყველასთვის საყვარელი ცნობილი მსახიობი“...

როგორ გგონიათ, ვის გულისხმობენ? – თითქმის უცნობ ახალგაზრდა მსახიობს, რომელსაც დიდ სცენაზე ჯერ მხოლოდ ერთი როლი აქვს ნათამაშევი...

ასეთი კურიოზი დღეში რამდენჯერმე შემოგვეფეთება.

ბუნებრივად მებადება კითხვა: გურანდა გაგუნიაზე თუ შეიძლება იმავეს თქმა?

ცნობილი, კი ბატონო, მაგრამ ყველასათვის საყვარელი?

შეიძლება, ყველას უყვარდეს მსახიობი ქალი, რომელმაც მთელი ცხოვრება ოთარ მეღვინეთუხუცესის გვერდით გაატარა?!

ამას ასე ადვილად აპატიებენ?!

მართალია, ერთგულებას საეჭვოდ ვერ გახდიან, მაგრამ სხვა სახის ,,ლეგენდებს“ შეთხზავენ...

სხვათა შორის, რაც მარტო დარჩა, ისეთები მიმტკიცებენ, კარგი მსახიობიაო, რომ გაკვირვებას ვერ ვმალავ.

ახლა დაინახეს. დააფასეს. შეიყვარეს კიდეც.

„მეღვინეთუხუცესის ფაქტორი“ ხელს აღარ უშლით...

ბევრს ეგონა, რომ მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ფეხზე ვეღარ წამოდგებოდა...

წამოდგა. ისევ ითამაშა.

იმის მიუხედავად, რომ ფეხი მოიტეხა.

მერე რა, სარა ბერნარს ფეხი საერთოდ მოკვეთეს და კიდევ თხუთმეტი წელი იდგა სცენაზე.

არა ბერნარი შემთხვევით არ მიხსენებია.

ამაზე – ცოტა ქვემოთ...

* * *

რაც აქამდე მაყურებელზე ვთქვით, ძირითადად, ქალბატონებს ეხებათ.

მაგრამ მამაკაცები?!

* * *

– ზურაბ ნიჟარაძემ ამას წინათ გაიხსენა თქვენი როლი, რომელიც ჯერ კიდევ ინსტიტუტში გითამაშიათ. შესანიშნავი იყოო.

– პიკომ?

– დიახ. რომელს გაიხსენებდა?

– ჯონ პრისტლი. „დრო და კონვეის ოჯახი“. კეი...

– სწორედ ეგ. დღემდე მახსოვსო...

– საძაგელი. სამაგიეროდ, ყველა დახატა, ჩემს გარდა...

– რატომ, თვით ნანი ბრეგვაძესაც კი მხოლოდ ახლა ხატავს.

– მართლა? მაშინ ვაპატიებ. ნანი! – აი ვინ მღერის. ერთადერთი!

– სრულიად გეთანხმებით.ერთხელ მერაბ თაბუკაშვილმა მითხრა, ნანის ფრაზა აქვს გენიალური, თორემ ტემბრი სხვებსაც არანაკლები ჰქონიათო. ჰოდა, სწორედ ეგ ფრაზაა მთავარი-მეთქი. მსახიობისთვის რა არის მთავარი?

– თეატრის უკიდეგანო სიყვარული.

– მეგონა, „ენერგიას“ იტყოდით. ნიჟარაძემაც ეს აღნიშნა. თანაც თქვენს ენერგიულობაზე ხომ ლეგენდები დადის.

– კიდევ რაზე დადის ლეგენდები?

– იმაზე, რომ ძალაუფლების მოყვარული ხართ, რუსულად რომ ვთქვათ, „ვლასტნაია.“

– მე?

– დიახ. ნუთუ ამის შესახებ არ გსმენიათ, განსაკუთრებით მაშინ, თეატრის ხელმძღვანელის მეუღლე რომ იყავით. კონფლიქტები არ გქონიათ?

– არასოდეს. რეჟისორებთან ყოველთვის იდეალური ურთიერთობა მქონდა.

– მსახიობებთანაც?

– მსახიობებთანაც.

– სხვათა შორის, ყოველთვის მაინტერესებდა, როგორი ურთიერთობა გქონდათ ვერიკო ანჯაფარიძესთან...

– ოთარი აღმერთებდა ვერიკოს.

– მე თქვენი ურთიერთობა მაინტერესებს.

– ერთხელ მის საგრიმიორაში ვარ. ბოლო როლები რომ ითამაშა, მაშინ. იმ დროს ვახსენებ, კლეოპატრა რომ იყო. გრძელი შლეიფი რომ დაჰყვებოდა. როცა ეტყოდნენ, ანტონიუსი გღალატობსო, ფეხს გაჰკრავდა შლეიფს და გამძვინვარებული ყველაფერს მილეწ-მოლეწავდა...

– თვითონ რას გეუბნებოდათ?

– არაფერს. სარკეში მდუმარედ შესცქეროდა საკუთარ სახეს. ერთხელ ვუთხარი, თქვენ რომ სცენაზე ხართ, ოთარი კულისებიდან თვალს არ გაშორებთ - მეთქი...

– ამაზე რა გიპასუხათ?

– ოო, საინტერესო სწორედ ეს არის! იცით, რა მითხრა? აი, რა: „ოთარი სხვაა. ის ცოტა ადრე უნდა დაბადებულიყო. პარტნიორები უნდა ვყოფილიყავით“...

– რა საინტერესოა ამაზე თქვენი რეაქცია...

– ახლავე მოგახსენებთ დიალოგის გაგრძელებას. მე ვეკითხები: „მერე მე?!“ ის: „შენ მერე“...

* * *

ოთარ მეღვინეთუხუცესზე ხშირად მსმენია, რომ აღმერთებდა წინა თაობების დიდ მსახიობებს და მათზე ძვირის თქმას არავის აპატიებდა. ამას წინათაც მიამბეს, რა გაჭირვებით გამოგლიჯეს ხელიდან ერთი ცნობილი კოლეგა, რომელმაც წინაპრები სუფრასთან აუგად მოიხსენია.

ქალბატონი ნინო ჩხეიძის ნათქვამიც უნდა გავიხსენო: „უშანგი რომ მთაწმინდაზე გადავასვენეთ, მისი საფლავის კეთილმოწყობას საშველი არ დაადგა. ბატონმა ვახტანგ დავითაიამ კუთვნილ ჰონორარზე უარი თქვა, მაგრამ ელგუჯა ამაშუკელის მიერ დატოვებული ქანდაკების დადგმა მაინც ვერ ხერხდებოდა. თანხა ახლობლებსა და კოლეგებში უნდა შეგროვებულიყო. ეს ოთარ მეღვინეთუხუცესს გაუგია. მოვიდა და ორი ათასი ლარი მომიტანა – ოღონდ, უშანგის საფლავი გაკეთდესო“...

* * *

მაგრამ მე ხომ გურანდა გაგუნიაზე ვწერ?!

მაგრამ მათი განცალკევება ასე ადვილია?!

ზურაბ ნიჟარაძეს მისი სტუდენტობისდროინდელი როლი დღემდე ახსოვს, მე კი ყველას ნინო მირჩევნია – ლალი როსებას პიესიდან და მედეა კუჭუხიძის სპექტაკლიდან „პროვინციული ამბავი“.

მეუღლეებს თამაშობდნენ.

დღემდე მახსოვს, როგორ ტუქსავდა და მაინც ვერ იმეტებდა. არ მავიწყდება ეს ფრაზა: „ვირი ხარ, ნამდვილი ვირუკა.“

არც ის მავიწყდება, რა ბუნებრივად მიმართავდა მისი ემილია მარინა ჯანაშიას დეზდემონას: „ეს არ არის ეჭვიანი?!“

ასეთი ბუნებრიობის მიღწევა, ალბათ, იმ მსახიობებს ძალუძთ, მართლა ეჭვიანი ქმრები რომ ჰყავთ...

– იყო ეჭვიანი?

– ისე მეკითხებით, თითქოს არ იცოდეთ, როგორ აღმოვჩნდი რუსთაველიდან მარჯანიშვილში.

– დიახ, დიახ, ვიცი და აღარ გავაგრძელოთ...

* * *

– და აი, მივადექით, ამ შემთხვევაში, უფრო მთავარს – თქვენს ბოლო ერთობლივ ნამუშევარს. ეს არის სპექტაკლი „მემუარები“, სადაც მხოლოდ თქვენ თამაშობდით. სარა ბერნარიც სწორედ აქ არის. უდიდესი მსახიობი ქალი. ნამდვილი ლეგენდა. ვის გაუჩნდა ასეთი სპექტაკლის დადგმის იდეა?

– ჭოლა, ლევან წულაძე, დიდხანს ეძებდა ჩვენთვის მსგავს პიესას. ირაკლი გოგიამ მოიტანა. ოთარმა წაიკითხა და მოეწონა.

– მსგავსი თემატიკის პიესაში ადრეც გითამაშიათ. მომწონდა კიდეც „მაყურებლისთვის ამის ნახვა აკრძალულია“, ოღონდ, იქ სხვებიც თამაშობდნენ. ეს კი მხოლოდ თქვენი სპექტაკლი იყო, სარა ბერნარითა და მისი უერთგულესი მეგობრით. როგორ ფიქრობთ, უყვარდათ ერთმანეთი?

– რა თქმა უნდა, ოღონდ, ეს სხვა სიყვარულია...

– სუფთა, ამაღლებული, პლატონური?

– დიახ...

– გულახდილად უნდა გითხრათ: როცა გავიგე, რომ სარა ბერნარს თამაშობდით, ეს დიდ გაბედულებად ჩაგითვალეთ. სპექტაკლის სანახავად მაინცდამაინც „სათქვენოდ განწყობილი“ არ მოვსულვარ. ვნახე და ვაღიარე, რომ უნდა გეთამაშათ. მეტიც, მეგობრებს ვუთხარი, რომ ამჯერად, მეუღლეს ტოლს არ უდებდით. ნუთუ ჰგავხართ სარა ბერნარს? მაინც რა გაქვთ საერთო?

– ალბათ, თეატრის ფანატიკური სიყვარული.

– აქაც მეგონა, რომ ენერგიას იტყოდით. შეგიძლიათ, თქვათ, რომ თქვენც ყველაფერი მიეცით თეატრს? თქვენ ხომ გვერდით ოთარ მეღვინეთუხუცესი გყავდათ...

– და ოთარ მეღვინეთუხუცესიც თეატრს მივეცი!

– მგონი, მართლა ჰგავხართ სარას...

* * *

სულ სამჯერ ითამაშეს.

მეღვინეთუხუცესმა ტელევიზიას ჩაწერის ნებართვა არ მისცა – ჯერ კარგად გათამაშდეს, დაიხვეწოსო...

მეოთხე სპექტაკლზე ცუდად გახდა...

ჩანაწერი არ დარჩა.

მაგრამ დარჩა სარა ბერნარი – გურანდა გაგუნია.

და დაიბადა ახალი იდეა: ,,ვიხსენებთ ოთარ მეღვინეთუხუცესს“, ამჯერად ორი დამდგმელი რეჟისორით – ლევან წულაძე და ირაკლი გოგია...

თავდაპირველად, ახალგაზრდა მსახიობები (როლანდ ოქროპირიძე, ნიკა კუჭავა, ზაზა იაკაშვილი, ბექა გოდერძიშვილი) მოგვითხრობენ ოთარ მეღვინეთუხუცესის შემოქმედების უმთავრეს ეპიზოდებს, შემდეგ კი ასპარეზზე გურანდა გაგუნიას სარა ბერნარი გამოდის. ლეგენდარული მსახიობიც თავის შემოქმედებით გზას იხსენებს. ლეგენდარულებს, როგორც წესი, ბიოგრაფიაც უაღრესად საინტერესო აქვთ. გურანდა გაგუნიაც ჩვეული ტემპერამენტითა და ემოციით მოგვითხრობს თავისი გმირის თავგადასავალს, სადაც დროდადრო ასეთი შთამბეჭდავი ეპიზოდები გაიბრწყინებენ: სამეფო კარის წინაშე ჰამლეტის როლს ითამაშებს. ნამდვილი ტრიუმფი შედგება. მხოლოდ ბერნარდ შოუ გაკენწლავს გესლიანად. და გაგუნია – ბერნარი სწორედ მას მიმართავს: „ჯორჯ ბერნარდ შოუ, სამყაროში ყველაზე ბოროტი კაცი ხართ, თუმცა პიროვნება ბრძანდებით.“

ასე მგონია, ახალგაზრდობაში არც გურანდა გაგუნია იტყოდა უარს ჰამლეტის როლზე და თუ რომელიმე დიდი მწერალი, ვთქვათ, კონსტანტინე გამსახურდია, გესლიანად გაკენწლავდა, ისიც სარასავით მიმართავდა.

ყველა მსახიობი ქალი ვერ იქნება სარა ბერნარი, მაგრამ ყველა ნამდვილ მსახიობ ქალში ზის სარა ბერნარი!

და მაინც, მთავარი, რითაც ის სარა ბერნარს ჰგავს, ჯერ არ გვითქვამს. ეს იმ სიტყვებით გამოიხატება, გაგუნია – ბერნარი ფინალში რომ წარმოთქვამს: „მთავარია, იცოცხლო! მთავარია, ითამაშო!“

აქ უკვე მართლა ძნელი გასარჩევია, ამას სარა ბერნარი ამბობს თუ გურანდა გაგუნია.

ძალიც შესწევს ქადილისა: ამ სპექტაკლში ხომ თამაშობს, გრიბოედოვის თეატრში რანევსკაიაა!

კიდევ ითამაშებს. ბევრს ითამაშებს. დიდხანს ითამაშებს...

იოსებ ჭუმგურიძე

◎ მწიგნობარი

სიყვარულით მავალი ორგანიზაცია, რომელიც კვლავ წიგნისკენ გვაბრუნებს

გამოვიდა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციის ყოველწლიური ალმანახის „მწიგნობარის“ 2015 წლის ნომერი. ყველასათვის ცნობილია, „კომპიუტერულ ხანაში“ როგორ იკლო წიგნის მოყვარულთა რაოდენობამ, რაც მეტად სავალალოა. ყველაფერს ტექნიკის წინსვლას ნუ დავაბრალებთ – ნაციონალთა 9-წლიანმა განუკითხავმა პარპაშმაც თავისი დაღი დაასვა არამარტო განათლების სფეროს, არამედ წიგნის საყოველთაო მნიშვნელობასაც. დაიხურა ბიბლიოთეკები, ხელი შეეწყო მდარე, უსახური, მოდას აყოლილი ნაწარმოებებისა და ე. წ. მწერალთა და მოლექსეთა პოპულარიზაციას. იმატა უცოდინარობის დონემ. ახალგაზრდობა, ბავშვობის ასაკიდან მიეჯაჭვა კომპიუტერს და გვერდზე გადადო წიგნი. ერთ-ერთი ორგანიზაცია, მართლაც რომ, მამულიშვილურ საქმეს აგრძელებს და ცდილობს, წიგნს დაუბრუნოს მკითხველი, სწორედ მწიგნობართა ასოციაციაა, რომელსაც რაიონული ორგანიზაციები მთელი საქართველოს მასშტაბითა აქვს.

ახალ ალმანახში, ტრადიციულად, მეტად საინტერესო სტატიების, კვლევებისა და მამულიშვილთა ღვაწლის გახსენება-დაფასების გვერდით დიდი ადგილი დაეთმო სწორედ რაიონული ორგანიზაციების საქმიანობასაც.

ერთ-ერთი წარმატებული ამ მხრივ დედოფლისწყარო გახლავთ. ორგანიზაციის თავმჯდომარე ბატონი **ვანო ნატროშვილი** და მისი მოადგილე ქალბატონი **ნანა ჭიჭინაძე** არანაირ ძალისხმევას არ იშურებენ, რათა წიგნს პოპულარიზაცია გაუწიონ, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში მოიწვიონ მწერლები, ახალგაზრდა შემოქმედები, ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები და მოსახლეობას კიდევ ერთხელ მისცენ საშუალება მათთან პირადად გამოხატონ უდიდესი სიყვარული და დაფასება.

„საანგარიშო წელს“ თუ გადავხედავთ მართლაც თავდაუღალავად იღვაწეს ორგანიზაციის წევრებმა – თბილისში, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული შესანიშნავი ინიციატივა „საუკუნის ლეგენდა“ და „ახალგაზრდა პროფესიონალი“ განახორციელეს და ნომინანტები – მედეა ამირანაშვილი, მანანა ახმეტელი, ნანი ბრეგვაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნაირა გორაშვილი და თამარ მოძღვრიშვილი დააჯილდოვეს; სოფელ არხილოსკარში გამოჩენილი კინორეჟისორისა და მწერლის გოდერძი ჩოხელის საღამო მოაწყვეს; თბილისში მწერალთა სასახლეში პოეტ ნანი საბანაძის შემოქმედებითი საღამო გამართეს; დედოფლისწყაროში პედაგოგ თამილა ნადირაშვილისა და მისი მოსწავლის მალვინა ისმაილოვას კონცერტი ჩაატარეს, აღსანიშნავია, რომ მალვინა და ქალბატონი თამილა მწიგნობართა ასოციაციის წევრები არიან. წლის მიწურულს კვლავ ეროვნულ ბიბლიოთეკას ეწვივნენ და გაზეთ „საქართველოს ლირიკის“ მიერ ქალთა წელს მიუძღვნეს შესანიშნავი საღამო – დააჯილდოვეს „ახალგაზრდა პროფესიონალებისა“ და „გამოჩენილი ქალბატონების“ ნომინანტები. საქველმოქმედი საზოგადოება „ამაგდარის“ თავმჯდომარემ, ბატონმა ვახუშტი ქიზიყურაშვილმა სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა ნომინაციაში გამარჯვებული ქალბატონები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შესანიშნავ საღამოებზე ყოველთვის მონაწილეობდნენ საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე ჩვენი შესანიშნავი ხელოვანები.

ჩვენ მხოლოდ ერთი რაიონის საქმიანობაზე მოგახსენეთ. უნდა აღვნიშნოთ და ჩვენთვისაც სასიხარულოა, რომ საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ **ლია ნადარეიშვილმა** განსაკუთრებით აღნიშნა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“, როგორც ასოციაციის საქმიანობის გამშუქებელ-თანამდგომი, ჭირვარამისა და მიღწევების გამზიარებელი. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყოველთვის მზად ვართ, გვერდით დავუდგეთ მწიგნობართა ასოციაციას, დავეხმაროთ თავის მამულიშვილური საქმიანობაში და გაზეთის ფურცლები დავუთმოთ სხვადასხვა რაიონის საქმიანობას. როგორც ბატონმა ჯანსუღ ჩარკვიანმა აღნიშნა საზოგადოების ერთ-ერთ ღონისძიებაზე – **„თქვენი ასოციაცია სიყვარულით მავალი ორგანიზაციაა. სამწუხაროდ, წიგნი, დღევანდელ დღეს არავის არ სჭირდება. თქვენ გამონაკლისი ხართ. მადლობა და დღეგრძელობა თქვენ“.**

იმედია, ჩვენი მომავალი თაობა მიუბრუნდება და კვლავ შეიყვარებს წიგნს.

ავთანდილ გეძაური

◎ სულიერება

მზადება მარხვისთვის

ხორციელის შაბათი – მიცვალებულთა ხსენება

5 მარტს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია აღნიშნავს ხორციელის შაბათს. ამ დღეს ეწოდება მსოფლიოს შაბათი, რადგანაც მოვიხსენიებთ გარდაცვლილ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს.

ამ დღეს მიცვალებულთა ხსენება დაწესებულია იმიტომაც, რომ დიდი მარხვის განმავლობაში შედარებით იშვიათად ვიხსენებთ მათ, ამ მოხსენიებით ერთგვარად ივსება დიდ მარხვაში მოხსენიების ნაკლი.

ხორციელის კვირა – საშინელი სამსჯავროს ხსენება

6 მარტს ხორციელის კვირაა, ხორციელის აკრძალვის ბოლო დღეა, ხორცის აკრძალვაა.

„ხორციელის“ აღების (დამთავრების) შემდეგ კი საეკლესიო ტიპიკონით ყველიერი იწყება (შვიდეული).

რაც შეეხება საშინელ სამსჯავროს ხსენებას, სახარებისეული მოძღვრებით, სამსჯავრო, რომელსაც იესო ქრისტე მოაწყობს, მეორედ მოსვლის დროს იქნება.

რომაელთა მიმართ ეპისტოლეში ვკითხულობთ, რომ ღმერთი დასჯის **„მოქმედსა ბოროტისა, ჰურიათასა პირველად და მერე წარმართსა, ხოლო მიანიჭებს დიდებასა, პატივსა და მშვიდობასა პირველად და მერმე წარმართსა“.**

იესო ქრისტეს მიერ განისჯებიან ცოცხლები და მკუდრები, აგრეთვე ბოროტი ანგელოზები და **„ყოველი სიტყვაი უქმი, რომელსა იტყოდიან კაცნი, მისცენ სიტყვაი მისთვის დღესა მას სასჯელისასა“.**

რასაკვირველია, მსაჯული მართალთ იტყვის: **„მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო, დაიმკვიდრეთ განმზადებული თქვენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაით“,** ხოლო ცოდვილები მოისმენენ ასეთ განაჩენს: **„წარვედით ჩემგან წყეულნო ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათვის და მსახურთა მისთა“.**

მომავალი კვირა ყველიერით დასრულდება.

გიული ლიპარტია

◎ ლექსი – იერიშზე!

გურამ ჭავჭანიძე

გაიღვიძეთ, ის კი არა, დაგვიანდა, მგონი!..

გაიღვიძეთ!

გაიღვიძეთ, დეგო, ძმეგო,
შიში ნუ გაქვთ ღამის.
ეს ქვეყანა, საოცნებო,
შემოგვადნა ლამის.

ხმა გაიღეთ, ერო, ბერო,
ნუკი ზიხართ ჭურში.
გააგახეს საქართველო,
ჩააფურთხეს სულში.

თუ ზოგ-ზოგი ძველებურად
მიაშურებთ სოროს,
ან თუ ისევ თქვენებურად
სულს მიჰყიდით სოროსს,

კვლავ შეგძახებთ: ხალხო, კმარა,
მოიკრიბეთ გონი,
გაიღვიძეთ, ის კი არა,
დაგვიანდა მგონი!

რეკვიემის მაგიერ

ავკაცობას არ ჰქონია ზღვარი,
ნუთუ, ღმერთო, შენ ვერაფერს ხედავ?
ისევ სისხლი, ისევ ცრემლის ღვარი,
რა ცოდვა გვჭირს უთავები ნეტავ?

რატომ გლოვის არ გუგუნებს ზარი,
ქარიშხლებიც რატომ დუმან ნეტავ?
მხოლოდ მტკვარი, ცრემლით
სავსე მტკვარი,
ისე მოთქვამს, ვით შვილმკვდარი დედა.

* * *

მართალია, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება,
მაგრამ, განა, უთქმელობით არ შავდება?
თუ არ ითქვა, რაც დღეს ხდება,
რაც შავდება,
მომავალში უფრო მეტი დაშავდება!

აჩრდილი დადის ქვეყანაში აჩრდილი აბდალისა

ძველი რვეულიდან

ეს ცხოვრება გამაგიჟებს,
რაც მართალი, მართალია,
სადაც ბრძენი უნდა იჯდეს,
გაიხედავ, აბდალია.

გაერიდო აბდალს უნდა,
გიჯობს, გაშპე ფეხშიშველი,
საქმე თუკი გაგიცუდდა,
ასი ბრძენი ვერ გიშველის.

ენას ჭვალი არ ადგება,
ვინც უსმინა, გადარია,
დაფშვიტინობს თავისნება
დარია თუ ავდარია.

ვერაფერი მამაცია,
ვერაფერი სარდალია,
დაგვამხო და დაგვაქცია,
აბა, რისი აბდალია.

* * *

ადრე თუ გაშავდებოდა,
განა, რა დაშავდებოდა,
არც არაფერი, პირიქით,
ვეღარსად წაშავდებოდა.

* * *

დღეს მეტად გვმართებს ძმობა, გატანა,
თორემ ვინ იცის, რა ბედი გველის,
სულ ახლოს ისევ მძლავრობს სატანა,
სულ ახლოს ისმის სისინი გველის.

* * *

ვის უნდა თქვენი თეოკრატია,
თუ ოცნებაშიც ვერ ავშენდებით.
ან ვის რად უნდა დემოკრატია,
თუ გავწყდებით და გადავშენდებით.

* * *

როგორ არ მეთქვა, ვეღარ გავძელი,
ლამის დამესხა რეტი,
მორალს მიკითხავს ქვეყნის მძარცველი,
ცინიზმი გინდა მეტი?

ყურმოკრული დიალოგი

– რატომ არის ნახევარი
საქართველო გაქცეული?
– იმიტომ, რომ ნახევარი
ჯერ არ არის დაქცეული.

* * *

თავისუფლად ყოფნა მოდის,
როცა სულში უფალია,
თორემ ისე რა გამოდის,
გიჟიც თავისუფალია.

კოჰაბიტირებულებს!

ვაი რომ, აპეურები
სულ დაწყვეტილი გქონიათ,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი გგონიათ!

* * *

ამბობენ, შედგა მთავრობის
საგულდაგულო სესია,
ვინც მიაღწევსო ასოც წელს,
გაუორმაგდეს პენსია...

რაღა თქმა უნდა, შესრულდა
ტაშისკვრა, როგორც წესია,
დიდება უთქვამთ დამსწრეთა,
არავის დაუკვნესია.

რა მომასვენებს

ვიდრე ჩაგძირავთ ცოდვის მეწყერი,
რა მომასვენებს, რა გამახარებს,
გული მერევა, როცა შეგცქერით
ნამუსგარეცხილ ტაკიმასხარებს.

აფსუს, ჩემი სიყვარული

თუ სუბსარქისს დავუძვერი,
მერე ტრფობის ქარებია,
ისე მოვა მარტის ჯერი,
როგორც დაგიბარებია.

მხოლოდ შენმა სუსხმა მომკლა,
შენ კი გაგიდარებია,
უშენობით ჩემი ყოფნა
როგორ გაგიმწარებია!

აფსუს, ჩემი სიყვარული
ნიღბად აგიფარებია.
შენ მოგიკლავს ჩემი გული,
სხვისი გაგიხარებია!

არ მომანატროს

სიყვარულისთვის მუდამ მეცალა,
ეს ნიჭი დამყვა ბედად.
მაინც სამშობლოს ტრფობა მეძალა,
სხვა სიყვარულზე მეტად.

გულისტკივილი ბევრი მინახავს,
ბევრი ძირმწარეც შევსვი
და რაც სიცოცხლის ხალისს მინახავს,
სიმღერაა და ლექსი.

არც მეგობართა სითბო მკლებია,
არც ეშხი ლამაზ ქალთა,
მაგრამ იყო დრო, მომნატრებია
ჩემი მთაწმინდის კალთა.



თუ ის დრო მორჩა,
რა ხდება ამ დროს,
რად ვევედრები ღმერთსა,
აღარ გამწიროს,
არ მომანატროს
ქართული მზე და ზეცა.

25.02.16.

დედამიწის ზურგზე

ნიუ-იორკში გახსნეს მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული მეგრესადგური

მსოფლიო საავაჭრო ცენტრთან სატრანსპორტო კვანძი გაიხსნა რამდენიმე წლის დაგვიანებით, ვიდრე ეს დაგეგმილი იყო. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა ასევე მნიშვნელოვნად იქნა გადაჭარბებული — სადგური დაჯდა თითქმის 4 მილიარდი დოლარი. ახალი კვანძი ნიუ-იორკის მიწისქვეშა 11 ხაზს აერთიანებს.

ბარაქ ობამა საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდგომ რამდენიმე წლით ვაშინგტონში დარჩება

ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამა, უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ვაშინგტონში კიდევ რამდენიმე წლით დარჩენას გეგმავს იმისთვის, რომ მისმა უმცროსმა ქალიშვილმა საშამ სკოლის დამთავრება შეძლოს.

პრეზიდენტმა ერთ-ერთ რესტორანში იმ ოთხ ქალბატონთან და მამაკაცთან ისადილა, რომლებმაც მას ხელმისაწვდომ სამედიცინო მომსახურებაზე მისწერეს. ერთ-ერთმა ქალბატონმა ამერიკის პრეზიდენტს მშობლიურ ჰავაიზე ჰკითხა.

„ჰავაი ჩემთვის მშობლიური კერაა. თუმცა ჩემი მშობლიური სახლი ჩიკაგოც არის. ჩემი მეუღლე წარმოშობით სწორედ აქედან არის“, — აღნიშნა ობამამ.

კითხვაზე, სად იცხოვრებს პრეზიდენტი და მისი ოჯახი უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ , ბარაქ ობამა უპასუხა, რომ „რამდენიმე წლით აქ დავრჩებით, რომ საშამ სკოლის დამთავრება მოახერხოს. სწავლის შუა პერიოდში მისი გადაყვანა სხვა სკოლაში უსამართლო იქნებოდა“, — განმარტა ამერიკის მოქმედმა პრეზიდენტმა.

ევროკავშირმა აზერბაიჯანის იტალიასთან დამაკავშირებელი გაზსადენის გეგმა დაამტკიცა

ევროპის კომისიამ 3 მარტს დაამტკიცა საბერძნეთთან შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს გაზსადენის მშენებლობას, ბუნებრივი აირის აზერბაიჯანიდან ევროკავშირში ჩასატანად. ამის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლება“ ავრცელებს.

878 კილომეტრიანი, ტრანსადრიატიკის გაზსადენის მიზანია შეამციროს ევროპის ენერგეტიკული დამოკიდებულება რუსეთზე. გეგმის თანახმად, აზერბაიჯანის საბადო შაჰ დენიზი 2 საბერძნეთის, ალბანეთის და შემდეგ ადრიატიკის ზღვის გავლით დაუკავშირდება იტალიას. გაზსადენი თურქეთში შეუერთდება ტრანს-ანატოლიის გაზსადენს. ევროპაში პირველი გადაზიდვა 2020 წლისთვისაა დაგეგმილი.

სერბეთში პარლამენტი დაითხოვეს და არჩევნები დანიშნეს

სერბიის პრეზიდენტმა, ტომისლავ ნიკოლიჩმა პრემიერ-მინისტრ ალექსანდრ ვუჩიჩის თხოვნის საფუძველზე დაითხოვა ქვეყნის პარლამენტი და ვადამდელი არჩევნები 24 აპრილს დანიშნა. „რადიო თავისუფლების“ ინფორმაციით, პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება გამოაცხადა 4 მარტს — ერთ დღეში მას შემდეგ, რაც ამ შინაარსის მოწოდებით გამოვიდა ვუჩიჩის მთავრობა, რომელმაც განაცხადა, რომ ახალი კაბინეტი, რომელსაც „მკაფიო მანდატი“ ექნება, შეძლებს რეფორმების გატარებას და სერბიისთვის გზის გახსნას ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

ვუჩიჩის სერბიის პროგრესული პარტია კოალიციურ მთავრობაშია გაერთიანებული რამდენიმე მომცრო პარტიასთან. გამოკითხვების თანახმად მას ყველაზე დიდი მხარდაჭერა აქვს — რაც, სავარაუდოდ, ვუჩიჩს შემდეგი მთავრობის ხელმძღვანელადაც აქცევს.

ბრაზილიის ექსპრეზიდენტი დააპატიმრეს

ბრაზილიის პოლიციამ ფართომასშტაბიანი ანტიკორუფციული გამოძიების ფარგლებში ყოფილი პრეზიდენტის ლუის ინასიო ლულა და სილვას სახლი გაჩხრიკა. თავად და სილვა დაპატიმრებულია დასაკითხად. ამის შესახებ „ბიბისი“ ადგილობრივ მედიაზე დაყრდნობით იუწყება.

ოპერაციაში 200-მდე სამართალდამცველი და საგადასახადო სამსახურის 30 წარმომაგენელი მონაწილეობდა. გამოძიება უკავშირდება სახელმწიფო ნავთობკომპანია ძპეტრობრასისძ საქმეს, რომლის მიხედვით, ნავთობკომპანიის კორუფციულ გარიგებებში ბრაზილიელი მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართული. ბოლო 2 წლის განმავლობაში „პეტრობრასის“ საქმის გამოძიების ფარგლებში 100-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის პოლიტიკოსები და ბიზნესმენები დააკავეს.

სირიაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარება პროვოკაციაა - ფრანსუა ოლანდი

საფრანგეთის, გერმანიის, ბრიტანეთის, იტალიისა და რუსეთის ლიდერებმა სატელეფონო საუბარი გამართეს, რომლის მსვლელობისას სირიაში შექმნილი ვითარება განიხილებოდა.

რუსული მედიის ინფორმაციით, ევროპელმა ლიდერებმა ვლადიმირ პუტინს სირიის ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენისენ მოუწოდეს. ოთხი ქვეყნის ლიდერებმა რუსეთ-ამერიკის შეთანხმება დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ ზავი სრულდება და პირველი შედეგებიც დადგა.

მოლაპარაკების დროს ევროპელი ლიდერები ერთხმად აღიარეს, რომ სირიაში პოლიტიკური პროცესი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს, თუმცა საპარლამენტო არჩევნების ჩატარებასთან მიმართებაში მათი ხედვა გაიყო.

კერძოდ, საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა სირიაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარების იდეას პროვოკაციული უწოდა. „ივლისში არჩევნების ჩატარების იდეა პროვოკაციულია. ეს აბსოლუტურად არარეალურია“,-განაცხადა ოლანდმა. სატელეფონო საუბრის შედეგად საფრანგეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიისა და რუსეთის ლიდერები შეთანხმდნენ, რომ სირიასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს კიდევ გამართავენ.

ევროკავშირმა თურქეთს მიგრანტებისთვის პირველი თანხა გამოუყო

ევროკავშირმა თურქეთს „მიგრანტების ჰუმანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის“ პირველი 95 მილიონი ევრო გამოუყო. ამის შესახებ მიგრაციის, საშინაო საქმეებისა და სამოქალაქო საკითხების ევრკომისარმა დიმიტრის ავრამოპოლუსმა განაცხადა.

„ევროკავშირმა თურქეთს მიგრანტების ჰუმანიტარული მოთხოვნების და შვილების განათლების უზრუნველყოფის მიზნით პირველი 95მილიონი ევრო გამოუყო“, — განაცხადა ევროკომისარმა. გასული წლის სექტემბერში ევროკომისიის თავმჯდომარემ ჟან-კლოდ იუნკერმა განაცხადა, რომ ევროკომისია თურქეთს მიგრანტების მისაღებად 1 მილიარდ 700 მილიონ ევროს გამოუყოფს. მოგვიანებით ანკარამ 5 მილიარდი ევროს გამოყოფა მოითხოვა, თუმცა ევროკავშირი მხოლოდ 3 მილიარდის გამოყოფას დათანხმდა.

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი აცხადებს ისლამური სახელმწიფოსა და „ალ-ქაიდას“ გეგმების შესახებ, მოაწყონ ტერორისტული აქტები ევროპაში

თავის პროგნოზებში დიპლომატიური უწყება ეყრდნობა „საიმედო ინფორმაციას“. სახელმწიფო დეპარტამენტში ამტკიცებენ, რომ ანალოგიური გაფრთხილებები შემოდის ევროპული ხელისუფლებებიდანაც. ექსტრემისტების მიზნები შეიძლება გახდეს დიდი სპორტული ღონისძიებები, თეატრები, ღია ბაზრები, საავიაციო სამსახურები, სატრანსპორტო სისტემები და საზოგადოებრივი ადგილები.

ქიმ ჩენ ინმა ბირთვული იარაღის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის ბრძანება გასცა

ჩრდილოეთი კორეის ლიდერმა მოუწოდა არმიას, იყოს მზად პრევენციული ბირთვული დარტყმისათვის. ამერიკის შეერთებული შტატები მოუწოდებს, თავი შეიკავონ პროვოკაციებისგან, მაგრამ ამავე დროს აცხადებს მზადყოფნის შესახებ, გაანადგურონ ფხენიანის ბირთვული არსენალში აუცილებლობის შემთხვევაში.

„საბჭოდნიეროდ“: ყაზახეთში მონეტა-ნალები გამოუშვეს

ყაზახეთის ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში გამოუშვა ვერცხლის მონეტები 100 ტენგეს ნომინალით, რომელიც კონტურით ნალს მოგვაგონებს. მონეტის რევერსზე განთავსებულია ნამგლის მოოქროვილი გამოსახულება, რომლის ცენტრშიც განთავსებულია წარწერა „საბჭოდნიეროდ“ სამ ენაზე.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი“ 2016 წლის 04 მარტიდან აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართის (სავარაუდოდ 100±25 ტონა) და ორი ერთეული ამორტიზირებული ავტომობილის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1

შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართის – სავარაუდოდ 100±25 ტონა – 1 ტონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 180 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;

ლოტი №2

ამორტიზირებული ავტომობილი Toyota Land Cruiser — საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 6800 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;

ამორტიზირებული ავტომობილი Nissan Patrol GR — საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 2200 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით დ.ღ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმი დღეების გარდა, 10^{00} – დან 15^{00} – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2016 წლის 14 მარტს 15^{00} საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დედანი).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707, 5 77 003 521

სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

რა სნეულებებით იტანჯებოდნენ ცნობილი ადამიანები

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი

გვარი, სახელი, მამის სახელი: ბრამსი იოჰანესი

დიაგნოზი: ობსტრუქციული ძილის აპნოეს სინდრომი

საქმიანობა: კომპოზიტორი და პიანისტი

დაბადების თარიღი: 1833 წელი

გარდაცვალების თარიღი: 1897 წელი

კომპოზიტორის თავშეუკავებელი ხასიათი და პროვოკაციული ძცევა ნაცნობი იყო მისი თანამედროვეობისთვის. მაგრამ ბრამსი სიცოცხლეშივე აღიარეს გენიოსად, და მას ძველაფერს პატიობდნენ.

მორფეოსი და ლირა

კომპოზიტორს ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა ბედნიერი უნარი, რამდენიმე წამში ჩაძირულიყო მორფეოსის ხვევნაში. როცა წამოიზარდა, მას შეეძლო ჩასძინებოდა სტუმრებთან სადილის დროს ან თეატრალურ ლოჟაში. გვიან წლებში ბრამსს უდრტვინველად ეძინა ვენის კაფეებში და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა: მის სანახავად მოდიოდნენ ტურისტები. ის ისე ხვრინავდა, რომ მინები ფანჯრებში ცახცახებდა. ტურნეებში მისი კოლეგები შიშით იხსენებდნენ, თუ როგორ უხდებოდათ მასთან ერთად ღამის თევა ერთ ნომერში ან მოგზაურობა ერთ კუპეში. ხოლო როდესაც ავსტრიის კუმირმა ჩაიძინა გუსტავ მალერის სადებიუტო გამოსვლაზე, ხვრინვის გამო მუსიკა მხოლოდ ნაწილობრივ ისმოდა.

ბრამსმა იცოდა თავისი ამ ჩვევის შესახებ, მაგრამ გარშემომყოფთა შეშფოთება მას მხოლოდ ართობდა.

არ უგდებდა ის ყურს ასევე მეგობრებისა და თაყვანისმცემელთა დასკვნებს, რომლებიც სთხოვდნენ მას, ცოტა დაელია. ბრამსს უყვარდა არა მხოლოდ ძვირფასი ღვინო, არამედ გემრიელი საჭმელიც, ტანსაცმელს კი იკერავდა სახელგანთქმულ მკერავთან, რომელიც მის ზურგსუკან ამტკიცებდა, რომ მისი კლიენტი სიმაღლეშიც და სიგანეშიც ერთნაირია. და მართლაც, კომპოზიტორის დაბალი სიმაღლის კომპენსირებას გადაჭარბებით ახდენდა მისი სიმსუქნე.

საკურორტო ცხოვრება

მიუხედავად ყველა ზედმეტობისა, ბრამსი 45 წლამდე არაფრით არ იყო ავად. მაგრამ მისი დედა დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ერთადერთი შვილი ხშირად ყოფილიყო კონსულტაციაზე ექიმებთან. გაურკვეველია, კერძოდ, რაზე მკურნალობდნენ მას, თუმცა ცნობილია, რომ ურჩიეს წყლებით მკურნალობა და ბრამსიც სიამოვნებით დადიოდა კურორტებზე.

იმ დროს სიმსუქნე კეთილდღეობის ნიშნად ითვლებოდა, მაგრამ როდესაც უზარმაზარი მუცელი უკვე ხელს უშლიდა, ამოეღო გასაღები ჯიბიდან, მუსიკოსმა გადაწყვიტა წონის დაკლება. ექიმები ურჩევდნენ, მეტი ევლო. მას შემდეგ ის საყვარელ კაფეებში ფეხით დადიოდა, დრო და დრო ეწყობოდა სკამებზე დასასვენებლად.

ხვრინვას მაშინ ავადმყოფობად არ მიიჩნევდნენ, ისეთი დიაგნოზი, როგორიცაა „აპნოე“ — სუნთქვის შეჩერება ძილში, რასაც ჟანგბადის შიმშილთან მივყავართ, ჯერ კდევ არ იყო ცნობილი. ახლა მკვლევარები დარწმუნებული არიან, რომ თანამედროვეების მოგონებებში აღწერილია სწორედ აპნოეს ნიშნები —„არაჯანმრთელი“ ხვრინვა, ძილის გაზრდილი სურვილი დღისით... ყველა ეს სიმპტომი ერთად, რომელიც მკაფიოდ მოსჩანდა მოკლე კისრის (პროვოკაციული ფაქტორია) ფოტოგრაფიებზე, მიუთითებს, რომ კომპოზიტორს მართლაც აწუხებდა ეს სინდრომი.

თანამედროვე მიდგომა

დღეს არსებობს ამ სენის მკურნალობის რამდენიმე მეთოდიკა, თვით ქირურგიულამდე. თავდაპირველად ექიმები ურჩევენ, დაანებონ თავი მოწევას და სმას, დაიგდონ წონა. თუ პაციენტს აქვს ჰიპერტონია, დაიწყოს მისი მკურნალობა. ხშირად გვეხმარება სპეციალური მოწყობილობა, რომელიც აფიქსირებს ყბას, წინააღმდეგობას უწევს ხვრინვას. დამუშავებულია ზოლიანი გამაფართოებლები, რომლებიც ნესტოებს უფრო აფართოებენ...

თუ ეს ყველაფერი არ გვშველის, გვირჩევენ რბილი სახის ლაზერულ პლასტიკას.

ამბულატორიული ავადმყოფის სამედიცინო ბარათი



გვარი, სახელი, მამის სახელი: რუზველტი ფრანკლინი

დიაგნოზი: მელანომა

საქმიანობა: ამერიკის შეერთებული შტატების 32-ე პრეზიდენტი

დაბადების თარიღი: 1882 წელი

გარდაცვალების თარიღი: 1945 წელი

რუზველტი ამერიკის შეერთებული შტატების არა მხოლოდ ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც ორ ვადაზე მეტჯერ აირჩიეს, არამედ ადამიანიც, ვისი ჯანმრთელობის ცნობები დღემდე დახურულია ფართო საზოგადოებისთვის. თუმცა, ძირითადად ეს პოლიომიელიტს შეეხება.

საიდუმლო ლაქა

როდესაც პრეზიდენტის ფოტოებს ათვალიერებ, დაწყებული 1941 წლიდან და გარდაცვალებამდე, შეიძლება მის სახეზე შენიშნო ლაქა მარცხენა წარბის ქვეშ. რუზველტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უქონლობა აიძულებს მკვლევარებს, შეისწავლონ განსაკუთრებული გულმოდგინებით მისი პორტრეტები.

1970 წლიდან პრესაში რეგულარულად დაიწყო შემოსვლა მასალებმა, რომლებიც დაწერილია ისტორიკოსებისა და ექიმების მიერ და რომლებშიც მოყვანილია რუზველტის მელანომის ნიშნები. როგორც წესი, მოვლენები ასე ვითარდებოდა: როგორც კი დაიბეჭდებოდა სტატია, უმალვე ჩნდებოდა მეორე, რომლის ავტორიც ახლოს იცნობდა პრეზიდენტს, ყველაზე ხშირად ექიმ ჰოვარდ გ. ბრუენისა. ის დაბეჯითებით უვლის გვერდს საკითხებს მელანომის შესახებ, წერს, მაგალითად, პრეზიდენტის გულის პრობლემებზე, პასუხს კი პირდაპირ შეკითხვებზე, რომლებსაც აძლევდნენ უკვე მოგვიანებით, უარყოფს ონკოლოგიური დიაგნოზი.

ამ უარყოფამ, ბოლოს და ბოლოს, გააოცა საზოგადოებრიობა, რომელიც დღემდე პატივისცემით ეკიდება მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ქვეყნის ლიდერს.

მარკირება ფოტოსათვის

1989 წელს სერიოზულ სამედიცინო ჟურნალში ჩნდება ქირურგ ჰარი ს.გოლდსმიტის სტატია, რომელშიც არა მხოლოდ მოყვანილია ექიმების მსჯელობის ციტატები რუზველტის მელანომით დაავადების შესახებ, არამედ წარმოდგენილია დადასტურებანი ფოტოგრაფიებისა და მათი აღწერის სახით. ამ სტატიას ბევრმა სპეციალისტმა მიაქცია ყურადღება, და ონკოლოგიის არსებობა ლამის დადასტურდა კიდეც.

რუზველტის მარცხენა წარბქვეშ წარმონაქმნი შეესაბამება მელანომის ხუთივე კრიტერიუმს. საინტერესოა, რომ 17 წლის განმავლობაში (1923-დან 1940 წლამდე) იგი უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ეს არ მოხდა. ეტყობა, ახალი წარმონაქმნის ზრდა ჩერდებოდა. სწორედ 30-იან წლებში დაიწყეს კიბოს მკურნალობა რადიოთერაპიით.

გამოცანად რჩება, თუ როგორ გაქრა რუზველტის სახეზე პიგმენტური ლაქა 1940 წელს. ალბათ, მელანომა ამოკვეთეს ან შენიღბეს კოსმეტიკური საშუალებებით. სხვათა შორის, შემთხვევითი როდია, რომ პოლიტიკოსის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბიოგრაფიას, რომელიც ჰიუ გ. გალაგერმა დაწერა, ეწოდებოდა „ლამაზი სიცრუე“.

თანამედროვე მიდგომა

დღეს კანის მელანომის მკურნალობის ძირითადი მეთოდი, ქირურგიულია. დამატებითად ითვლება პოლიქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და იმუნოთერაპია. თუ I და II სტადიებში შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ ოპერაციით, III და, მით უმეტეს, IV-ის დროს აუცილებელია სერიოზული კომპლექსური მკურნალობა. პროგნოზი დაავადების სტადიაზეა დამოკიდებული.

◎ გისურვებთ ჯანმრთელობას!

ქინძი (ოღონდ სააკაშვილში არ აგერიოთ) - სახიფათო შტამების წინააღმდეგ

ლაბორატორიულმა ტესტებმა აჩვენა: ქინძის ზეთს შეუძლია, შეებრძოლოს ბაქტერიების სახიფათო შტამებს. ამ სანელებელს დიდი ხანია, იყენებენ ხალხურ მედიცინაში. ითვლება, რომ მას შეუძლია, დაგვიცავს ტკივილის, კოლიკის, გულისრევის, სოკოვანი ინფექციებისა და კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებული პრობლემებისგან.

თუმცა ახლახან მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ქინძი, ასევე, აჩერებს 12 სახის ბაქტერიების ზრდას, მათ შორის არის E. coli, სალმონელა და რეზისტენტული სტაფილოკოკი. ლაბორატორიულ ტესტებში გამოიყენებოდა ხსნარი, რომელიც შეიცავდა 1,6%-მდე ქინძის ზეთს.

„მიუხედავად ასეთი მცირე რაოდენობისა, ქინძის ზეთი მაინც იწვევს ბაქტერიების მემბრანის დაზიანებას. ის არღვევს ბარიერს, რომელიც ბაქტერიას გამოყოფს გარემოსგან, აფერხებს პროცესებს, მათ შორის სუნთქვის პროცესს. ამის შედეგად ბაქტერია იღუპება“, — ამბობს კვლევის ხელმძღვანელი ფერნანდა დომინგეზი (ბეირა ინტერიორის უნივერსიტეტი). თუმცა ის ვერ მოერია Bacillus cereus-ს, რომელიც იწვევს კვებით ტოქსიკოინფექციებს ადამიანებში (მიმდინარეობს დიარეითა და პირღებინებით) და Enterococcus faecalis-ს, რომელიც ხშირად არის საშარდე გზების, მცირე მენჯის ღრუს ინფექციების, ასევე ჭრილობების დაინფიცირების მიზეზი.

ჯანდაცვაში 7 მილიონზე მეტი გადაიხარჯა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2016 წლის მონაცემებით კვლავ დეფიციტურია — განაცხადა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტმა სერგო ჩიხლაძემ. მისი თქმით, 2016 წლის გასულ 2 თვეს, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გადახარჯვა გაცილებით მეტია.

„2015 წლის პირველ კვარტალზე საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი იყო 110 მილიონი ლარი და აქედან 2 თვეში დაიხარჯა 82 მილიონ ლარზე მეტი — გამოყოფილი თანხის 75%-ზე მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად, გადახარჯვა იყო დაახლოებით 4,5 მილიონი ლარი. წელს პირველ კვარტალზე გამოყოფილია გაცილებით მეტი თანხა — 161 მილიონი ლარი. გასული 2 თვის მონაცემებით, ამ თანხიდან დახარჯულია უკვე 122 მილიონ ლარზე მეტი, ანუ კვლავ 75%-ზე მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიური გადახარჯვა არის კიდევ უფრო დიდი — 7 მილიონ ლარზე მეტი. სპეციალისტთა ნაწილი, უკვე ორ წელიწადზე მეტია, ვურჩევთ მთავრობას, რომ გადახედოს ამ პროგრამის მიზნობრიობასა და ხარჯვის ეფექტიანობას. წინა წელს ხელისუფლებას გაუმართლა და მოიძებნა დამატებითი 100 მილიონი, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფინანსური გარღვევა შევსებულიყო და ეს მოხდა ისევ და ისევ სხვა სამინისტროების უნიათობის ხარჯზე, რომლებმაც ვერ აითვისეს მათთვის კუთვნილი საბიუჯეტო სახსრები. წელს კი, ვეჭვობ, ამის რესურსი ჰქონდეს მთავრობას, რადგანაც არჩევნების წელია და წლის ბოლოს აუთვისებელი თანხები ნამდვილად არ იქნება ბიუჯეტში, რომ მოხდეს მათი გადმოსროლა ჯანდაცვაში. სანამ დროა, სჯობს ჯანდაცვის სამინისტრომ და მთავრობამ დაძლიონ თავიანთი სიხისტე და სიჯიუტე და გადადგან ნაბიჯები, რომ ამ პროგრამის ხარჯები გახდეს ეფექტური და მოხდეს ფინანსური სახსრების ხარჯვის მონიტორინგი, — განაცხადა ჩიხლაძემ.

გივი კარტოზიას ფენომენი

◎ ოლიმპიური ჩემპიონები

ცეცხლოვანი გულის კავკასიელი

ის იყო, დილით სასტუმროდან გამოვიდა და ზღვის სანაპიროსკენ სასეირნოდ წასვლას აპირებდა, ღარბულად ჩაცმული მოხუცი რომ მიუახლოვდა. ხელმოჩრდილულმა ქვემოდან ამოხედა.

— გეთაყვა, თქვენ გივი კარტოზია ხართ? — ჰკითხა უცნობმა ქართულად.

— დიახ, — მიუგო გაკვირვებულმა ფალავანმა.

— გუშინ დიდად ვისიამოვნე სტადიონზე, შესანიშნავად ჭიდაობდი! მე 94 წლის ვარ, ბევრი განთქმული ფალავანი მინახავს. შენ დიდი კულა გლდანელი გამახსენე, დიდი მომავალი გელის... ჩემ მაგივრად აკოცე მშობლიური საქართველოს მიწას, სადაც არასოდეს დამიდგამს ფეხი... ღღეგრძელი იყავ, შვილო!

ბერიკაცი მოულოდნელადვე დაემშვიდობა და ჯოხზე დაყრდნობილი გაუყვა გზას.

უცებ თვალწინ დაუდგა „მიხატ ფაშას“ 25-ათასიანი სტადიონის გადაჭედილი ტრიბუნები და წინა დღეს იქ გადატანილი ორთაბრძოლები, გონებაში კინოკადრებივით გაირბინა ნანახმა და განცდილმა. პირველ ორთაბრძოლაში ლიბანელ რამონოსს მოუგო — სამჯერ ბეჭებით გააკრა მეტოქე ხალიჩას და მხოლოდ ამის შემდეგ „დაინახეს“ არბიტრებმა ტუშე, მერე შვეიცარიელი ვერნერი დაამარცხა. მესამე წრეში ისვენებდა, მეოთხეში კი მასპინძელთა კერპ ისმეთ ათლის უნდა დაპირისპირებოდა. ორიოდე დღის წინ თურქმა თავისუფალ ჭიდაობაში გაიმარჯვა, ქართველი ფალავანი გიორგი სხირტლაძე ფინალამდე ჩამოაშორა შეჯიბრებას. მასპინძლებს ეიმედებოდათ თავიანთი კერპი. ანგარიში თანაბარი იყო — 1953 წლის „კლასიკოსთა“ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარტოზიამ აჯობა ათლის, ისმეთმა რევანში ერთი წლის შემდეგ ტოკიოში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე აიღო. და აი, მესამე ორთაბრძოლა. წლების შემდეგ ივან დიმოვთან საუბრისას გივი კარტოზია ასე გაიხსენებს თურქულ ბატალიებს: „ჩემი ყველაზე საშიში მეტოქე იყო თურქი ისმეთ ათლი, მოუქნელი, გრძელმკლავება, კაჭა, ხალიჩაზე საოცრად სწრაფი და თვალშეუვლები. ნეაპოლში იგი მესამე წუთზე წავაქციე, სერიოზული მეტოქე იყო! რომის ოლიმპიადაზე გაიმარჯვა კიდეც... სტამბოლში ვჭიდაობდით გვიან საღამოს სტადიონზე, რომელიც 25 ათას მაყურებელს იტევდა. ათლი ნებისყოფიანი მოჭიდავე იყო, უკან დახევა არ იცოდა. პირველ წუთზევე ვეძგერეთ ერთმანეთს ისეთი ძალით, რომ დარტყმა ხარს წააქცევდა... ორივემ გავუძელით. სახედასისხლიანებულებს გულები ამოვარდნაზე გვქონდა, მაგრამ ვჭიდაობდით. რვა ქულა მოვიგე, მეექვსე წუთზე კი ბეჭებზე გავაკარი. მსაჯები აქეთ-იქით იყურებიან, ისეთი სიტუაციაა, თითქოს საცაა, უზარმაზარი ნაღმი უნდა აფეთქდესო. ათლი წამოდგა, მოვიდა ჩემთან და ხელი ამიწია. სტადიონმა ყიჟინა დასცა, მაგრამ ეს უკვე ალერსის ყიჟინა იყო“...

ეს მოხდა 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე, მაისის მიწურულს, სტამბოლში მსოფლიოს თასზე გამართული პაექრობისას... მომდევნო ორ შეხვედრაში ქართველი ფალავანი იოლად გაუსწორდა გერმანელ ჰორსტ ჰესსა და იუგოსლავიელ სიმიჩს და მსოფლიოს თასი მოიპოვა. ჩვენებურთაგან ის გახლდათ პირველი, ვინც ასეთ სიმაღლეს მიაღწია. სამართლიანად შენიშნავს ცნობილი ქართველი ჟურნალისტი არჩილ გოგელია, რომ „იგი იყო პირველი ქართველი მსოფლიოს ჩემპიონი ჩვენი სპორტის ისტორიაში. სიტყვა პირველი განუშორებელი თანამგზავრია კარტოზიას გვარისა. თავად განსაჯეთ: გივი კარტოზია იყო პირველი სამგზის ჩემპიონი ქართველთა შორის, მსოფლიო თასის პირველი მფლობელი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი კლასიკურ ჭიდაობაში“.



ძართული ჭიდაობის დროშა

„ბევრი დიდი მოჭიდავე გაუზრდია საქართველოს. გივი კარტოზია ყველაზე ნათელი პიროვნებაა მათ შორის. ახალი ჩემპიონები ავიდნენ კვარცხლბეკზე, ზოგიერთ მათგანს უფრო მეტი ჯილდოც აქვს, ვიდრე გივის, მაგრამ კარტოზიას დღესაც №1 მოჭიდავეს უწოდებენ. და ასე იქნება მუდამ, სანამ ცოცხალი დარჩება თუნდაც ერთი კაცი, ვისაც იგი ხალიჩაზე უნახავს. კარტოზია ქართული ჭიდაობის დროშაა“, — ეს სიტყვები კიეველ მსოფლიოს ჩემპიონ გრიგორი გამარნიკს ეკუთვნის.

მართლაც, განუმეორებელია გივი კარტოზიას დამსახურება სამშობლოს წინაშე. ქართველი ფალავნის თანამედროვეთაგან არაერთხელ მსმენია, რომ გივი ყველას ხიბლავდა გამბედაობით, ელეგანტურობით, უკომპრომისობით. იგი არასდროს ყოფილა მარცხის შიშით შეპყრობილი სპორტსმენი. ჭაბუკობიდანვე გახლდათ დამოუკიდებელი და გამბედავი. 1944 წელს 15 წლისა ომში გაიპარა, რომ მეომარი მამა ენახა. გზახლართულებისთვის გვერდის ავლა შეძლო და ზაპოროჟიეში ამოყო თავი, სადაც პოლკის შვილობილი გახდა, სამხედრო ფორმა ჩააცვეს და ხელში შაშხანა მისცეს. ერთი სიტყვით, ჯარისკაცი გახდა. 1945 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა შინ. შინელს დიდხანს ვატარებდი, რადგან პალტო არ მქონდაო, იგონებს ბატონი გივი. ოთხი წლის შემდეგ მოსკოვში შეჯიბრებაზე გასამგზავრებლად პირველი პალტო მწვრთნელს უყიდია მისთვის.

ჭაბუკობიდანვე მოქნილმა სპორტის რამდენიმე სახეობაში სცადა ბედი. ომიდან დაბრუნების შემდეგ, როგორც თავად იხსენებს, ორჯონიკიძის ქუჩაზე საჭიდაო დარბაზს მიაკითხა. პირველი დამკვალიანებელი გიორგი ვარძელაშვილი იყო, შემდეგ კარიერის ბოლომდე ლეონიდ ძეკონსკი ავარჯიშებდა. უფროსებს შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში პირველად 1949 წელს მოსინჯა ძალები. 20 წლის ყმაწვილი მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა. იმავე წელს თბილისში ჩეხოსლოვაკიის „კლასიკოსთა“ ნაკრები ჩამოვიდა ამხანაგური მატჩის გასამართავად. გივი კარტოზიამ გამოცდილი ფალავანი შტეფან მესეში დაამარცხა. მერე გაიკაფა გზა დიდი სარბიელისკენ. 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და 1960 წლის რომის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონობა (1953-ნეაპოლი; 1955-კარლსრუე; 1958-ბუდაპეშტი) მოიპოვა, 1956 წელს მსოფლიოს თასს დაეუფლა, ორჯერ სტუდენტთა მსოფლიოს თამაშებში გაიმარჯვა, ოთხჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების (1952-1955) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. საქართველოს XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი (ვერცხლის პრიზი), სპორტის დამსახურებული ოსტატი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.

1953 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნეაპოლში გივიმ, „ცეცხლოვანი გულის კავკასიელმა“, როგორც მას იტალიელებმა უწოდეს, შვედი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის (მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატები ორსამ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა) გამარჯვებული გრიონბერგი ნახევარფინალში დაამარცხა, გადამწყვეტ პაექრობაში 1952 წლის ოლიმპიადის ფინელი ბრინჯაოს მედალოსანი კალერვო რაუხალა ბეჭებით გააკრა ხალიჩას და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჩემპიონატის შემდეგ სპორტის დამსახურებულ ოსტატ არამ იალტირიანს უთქვამს: „1952 წელს კარტოზია უკეთ იყო მომზადებული, ვიდრე 1953-ში, როცა იგი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. არც მეეჭვება, რომ გივი ჰელსინკის ოლიმიადაზეც გაიმარჯვებდა. ამას მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგიც ადასტურებს“.

1952 წელს გივი კარტოზიამ სსრკ ჩემპიონატი მოიგო — ექვსი შეხვედრიდან ოთხ მეტოქეს წმინდად და ორს ქულებით აჯობა. საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი და 1947 წლის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული ნიკოლაი ბელოვი და მისი კონკურენტი ტკაჩენკო სამეულშიც ვერ მოხვდნენ და ეს კარტოზიას დამსახურება იყო. ჰელსინკის ოლიმპიადამდე ქართველი ფალავანი თავის წონაში საკავშირო ოლიმპიური ნაკრების პირველი კანდიდატი გახდა, მაგრამ მწვრთნელები მაინც ვეტერან ბელოვისკენ იხრებოდნენ. სამი საკონტროლო შეხვედრა დაუნიშნეს კონკურენტებს, სამივე კარტოზიამ მოიგო. ამის მიუხედავად, ჰელსინკის ხალიჩაზე მაინც ბელოვი გაიყვანეს, მან კი ორი ორთაბრძოლა დათმო ფინელ რაუხალასა და შვედ გრიონბერგთან და მესამე ადგილს დასჯერდა. კარტოზია ამ ორთაბრძოლებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

დასაჯილდოებლად ძლივს გაალვიძეს

ჰელსინკის ოლიმპიადის შემდეგ გივი კარტოზია საბჭოთა ნაკრების ლიდერად იქცა და ეს მან საერთშორისო სარბიელზეც დაამტკიცა. როგორც აღვნიშნეთ, 1953 წელს ნეაპოლში მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, 1955 წელს მეორედ დაიმშვენა მკერდი ოქროს მედლით. ამ შეჯიბრებას გერმანულმა კარლსრუემ უმასპინძლა. ქართველი ფალავანი ერთ დღეს ხუთჯერ გავიდა ხალიჩაზე. ასპარეზობის ბოლო დღეს კარტოზიას წონაში ბევრი შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი. დილით მასპინძელი ოტმარ ზონჰალტერი წააქცია. ამ ორთაბრძოლისას მკლავი დაეჭიმა. საღამოს იუგოსლავიელ ბრანისლავ სიმიჩს აჯობა, რომელმაც მერე ტოკიოს ოლიმპიადაზე გაიმარჯვა. შხაპის მიღებაც არ აცალეს, რომ შვედ იანსონთან საჭიდაოდ უხმეს. მეტოქეს ქულებით სძლია. ის იყო, გასახდელში 15 წუთი წასთვლიმა, რომ გააღვიძეს — ხალიჩაზე უნგრელი ჰელსინკის ოლიმპიადის პრიზიორი გურიჩი ელოდა. ისიც დაამარცხა. ნახევარი საათის შემდეგ გერმანელ ჰორსტ ჰესს მოუგო. „გასახდელში შევედი და მკვდარივით დამეძინა. არ მინახავს, გურიჩმა როგორ დაამარცხა გერმანელი და მეორე ადგილზე გავიდა. ძლივს გამაღვიძეს დასაჯილდოებლად“, — იხსენებდა გივი კარტოზია.

1956 წლის მელბურნის ოლიმპიადაზე ქართველი ფალავანი ორი ოლიმპიადის გამარჯვებულ აქსელ გრიონბერგს ელოდა, მაგრამ შვედებმა მელბურნში გრიონბერგი არ წაიყვანეს. იგი ერთი მოუქნელი ყმაწვილით — რუნე იანსონით ჩაანაცვლეს. კარტოზიამ მას წინა მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლად მოუგო, ეგონა, ოლიმპიადაზეც მალევე დაჩაგრავდა, მაგრამ პაექრობის დასაწყისშივე შვედმა ქულა აართვა ქართველს და შემდეგ მთელი შეხვედრის განმავლობაში შერკინებას გაურბოდა, რასაც მსაჯები ვერ „ამჩნევდნენ“. ეს ორთაბრძოლა ჩვენებურმა მინიმალური ანგარიშით წააგო. სამაგიეროდ, მომდევნო შეხვედრებში სხვებზე იყარა ჯავრი: ავსტრალიელი პეტერსონის დამარცხებას მხოლოდ ერთი წუთი მოანდომა, წინა ოლიმპიადის პრიზიორ უნგრელ გურიჩს შვიდი ქულა აართვა, ბულგარელ დობრევს, რომელიც ოთხი წლის შემდეგ რომში გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ხუთი ქულით მოუგო. იანსონი უკვე აღარ ეწერა მეტოქეთა რიცხვში, რადგან მას დობრევმა აჯობა და ექვსი საჯარიმო ქულით მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს ჩამოშორდა. გივი კარტოზია ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

1958 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების შემდეგ გივი კარტოზია აქტიურ სპორტს ჩამოშორდა, მაგრამ 1960 წლის რომის ოლიმპიადის წინ ისევ შეუჩნდნენ და ხალიჩაზე დააბრუნეს. იტალიის დედაქალაქში მან მესამე ადგილი დაიკავა და აქტიურ სპორტს საბოლოოდ დაემშვიდობა. ოთხი წელიწადი საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად იმუშავა — ბევრ ფალავანს გაუკვალა გზა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ, როგორებიც არიან რომან რურუა, როსტომ აბაშიძე, ომარ ბლიაძე, თამაზ მაჭავარიანი და სხვები. საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე კი ჩვენმა ფალავნებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

და მაინც... „მასწავლებელს, პირველ ყოვლისა, მოთმინება მართებს ბავშვებთან, — სპორტსმენები კი რაღაცით მუდამ ბავშვები არიან, — სიფიცხე შეუწყნარებელია, მე კი ფიცხი კაცი ვარ,“ — თქვა ბატონმა გივიმ და მწვრთნელობასაც შეეშვა, თუმცა ჭიდაობისა და მოჭიდავეებისთვის ზურგი არასდროს შეუქცევია — ხორკლიანი სიტყვა, მაგრამ კეთილი გული ჰქონდა, უსამართლობას ვერ იტანდა. ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა ერთგან წერს: „კარტოზია ძალიან კეთილი, მგრძნობიარე ადამიანია. ვინ მოთვლის იმათ, ვისაც დახმარებია გივი. მე ერთ-ერთი მრავალთაგანი ვარ, ვისაც კარტოზია დაეხმარა, ადგილი ეპოვა ცხოვრებაში“.

დიდი ქართველი ფალავანი 1998 წლის 3 აპრილს გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

სურათებზე: გივი კარტოზია თავის სტიქიაში; მარცხნიდან — გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, შოთა ლომიძე.

საქმე №1/195-2015

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 5 თებერვალი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე
საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი“
საარბიტრაჟო მოპასუხე: მამუკა ხარაზიშვილი, ოთარ ლაცაბიძე
დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2015 წლის 15 დეკემბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე მამუკა ხარაზიშვილისა და ოთარ ლაცაბიძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2014 წლის 11 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა” და მამუკა ხარაზიშვილს შორის დაიდო №081413543 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 5000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა - ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2014 წლის 11 აგვისტოს შპს „ნოვა კრედიტსა” და ოთარ ლაცაბიძეს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ოთარ ლაცაბიძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ოთარ ლაცაბიძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია,რომ მოპასუხე ოთარ ლაცაბიძე რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ოთარ ლაცაბიძეს (პირადი №840717300607) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

2. ოთარ ლაცაბიძეს განემარტოს, რომ

გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე ოთარ ლაცაბიძესა და მამუკა ხარაზიშვილს (პირადი №57001038336) ეცნობოთ, რომ 2016 წლის 30 მარტს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით მამუკა ხარაზიშვილისა და ოთარ ლაცაბიძის მიმართ.

5. ოთარ ლაცაბიძესა და მამუკა ხარაზიშვილს ეცნობოთ, თუ ისინი არ გამოცხადდებიან საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულნი არიან, არბიტრაჟს აცნობონ გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საქმე №1/14-2016

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით
საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

ქ. თბილისი 4 მარტი 2016 წელი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე
საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტი”
საარბიტრაჟო მოპასუხე: უჩა ტყეშელიაძე
დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2016 წლის 10 თებერვალს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი მოპასუხე უჩა ტყეშელიაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2013 წლის 24 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა” და უჩა ტყეშელიაძეს შორის დაიდო №121312597 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც შპს „ნოვა კრედიტმა” მსესხებელზე გასცა 1130 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 72 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 24.02.2014წელი.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა პირგასამტეხლოს ოდენობა-ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მთლიანი ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. ხელშეკრულების თანახმად გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სატრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: იაგუარი XJ8 3.2; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 1999; ტიპი: სედანი; ფერი: მწვანე 8/8; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შასი) №SAJJJALG4CR845118; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL1432249; სარეგისტრაციო ნომერი: CFC482.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე უჩა ტყეშელიაძეს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა მისამართზე არ ცხოვრების გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე უჩა ტყეშელიაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე უჩა ტყეშელიაძე რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე უჩა ტყეშელიაძეს (პირადი №01019009682) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი”-ს სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. უჩა ტყეშელიაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ, გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხეს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე უჩა ტყეშელიაძეს ეცნობოს, რომ 2016 წლის 4 აპრილს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი”-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით უჩა ტყეშელიაძის მიმართ.

5. უჩა ტყეშელიაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია, არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა”-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

◎ ინფორმაცია

აფხაზეთის ომის გმირების ცხედრები საგვარეულო საფლავებს უბრუნდებიან!

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის სოზარ სუბარის ინფორმაციით, ზაფხულში ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ახალი სამარხის გახსნა იგეგმება.

„სამების საკათედრო ტაძარში იმ ათი მეომრის ნეშთებს გადაასვენებენ, რომლებიც აფხაზეთიდან გადმოასვენეს. დღეს სამშობლოსთვის დაღუპული ათი გმირი მიებარება მშობლიურ მიწას. ექვსი ძმათა სასაფლაოზე დაიკრძალება, ოთხი კი მშობლების სურვილით საგვარეულო სასაფლაოებზე“, — განაცხადა სუბარმა.

მინისტრის ინფორმაციით, უახლოეს ხანებში კიდევ დაახლოებით 12 იდენტიფიცირებული ნეშთის გადმოსვენებას ელოდებიან.

შვილიშვილები სოფო, როინზონ არაბულები, რძლები ნანა, სოფო, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, უახლოესი ნათესავები გულისტკივილით იუწყებიან უსაყვარლესი ადამიანის

როინზონ არაბულის

გარდაცვალებას. გამოსვენება 5 III, 14 საათზე, ავჭალის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრიდან, მისამართი: სარაჯიშვილის 8.

რეკლამა
293–37–87
მაჩაბლის ქ. №7.

მკურნალი მუსიკა

ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტის სპეციალისტები აცხადებენ, რომ მოცარტის მუსიკასა და ჯაზს... ეპილეფსიის შეტევების შეჩერება შეუძლიათ.

ეპილეფსიის ხუთიდან ოთხი სახეობა ეგრეთ წოდებული „საფეთქლის ეპილეფსიას“ მიეკუთვნება და სწორად იქ იწყება თავის ტვინის ანომალიური აქტივობა, რომელიც შეტევას იწვევს.

მეცნიერებმა გადაწყვიტეს, შეედარებინათ მუსიკალური ინფორმაციის გადამუშავების უნარი ჯანმრთელ და ეპილეფსიით დაავადებულ ადამიანებში. მათ თავის ტვინის აქტივობის ტალღები სიჩუმის 10 წუთის განმავლობაში ჩაიწერეს, შემდეგ მოდიოდა ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ანდა ცნობილი ჯაზმენის ჯონ კოლტრეინის მუსიკის ნაწყვეტი, შემდეგ კვლავ 10 წუთი სიჩუმე და მერე ისევ ორი მუსიკალური მონაკვეთი, რის შემდეგ ექსპერიმენტის დამაგვირგვინებელი სიჩუმის ბოლო ათი წუთი.

აღსანიშნავია, რომ მუსიკალური მონაკვეთები ყოველთვის წინასწარ შეურჩეველი თანმიმდევრობით მიდიოდა. შედეგად, მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მუსიკის პასუხად აქტივობას ყველა ადამიანის თავის ტვინი იჩენდა, მაგრამ ეპილეფსიით დაავადებულებში ეს აქტივობა მუსიკასთან უფრო მეტად იყო სინქრონიზებული, თანაც აღნიშნული პროცესი გაცილებით აქტიურად საფეთქლის არეში იყო გამოსახული.

წამლების შეუთავსებლობის საფრთხე

ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატებისა და ანტიდეპრესანტების ერთდროული მიღება თავის ქალაში შიდა სისხლჩაქცევის ალბათობას ზრდის.

კორეელ მკვლევართა განცხადებით, რისკი ამ კომბინაციის მიღებისთანავე მატულობს. გაცილებით ხშირად, სისხლჩაქცევა მოსდიოდათ მამაკაცებს, რომლებიც ანტიდეპრესანტის მიღებას არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო საშუალებების სმას უხამებდნენ.

ხასიათის სარკე

ადამიანებს სხვისი გარეგნობის მიხედვით კაცის ხასიათის გამოცნობა შეუძლიათ, დაადგინეს ამერიკელმა მკვლევარებმა.

თავიანთი ექსპერიმენტის პროცესში ისინი მოხალისეებს ფოტოსურათებს უღებდნენ, რომელთა ფსიქოლოგიური პორტრეტების შესაქმნელად კითხვებზე მათსავე პასუხებს იყენებდნენ, რის შედეგად მათი დახასიათება ათი პარამეტრის მიხედვით შეძლეს.

მოხალისეებს ფოტოებზე ფეხზე დამდგრებს უღებდნენ, თანაც ერთ-ერთზე მათ სტანდარტული, ემოციებს მოკლებული პოზა უნდა მიეღოთ და სახის ნეიტრალური გამომეტყველება ჰქონოდათ. მეორე ფოტოზე კი იგივე პირები თავისი სურვილით არჩეულ პოზებში იყვნენ გადაღებულნი, თანაც ამ მხრივ არანაირი მითითება მიღებული არ ჰქონიათ.

ექსპერიმენტის მეორე სტადიაზე, გარეშე პირებს წარდგენილი ფოტოების მიხედვით მოხალისეთა ხასიათის ათი თვისება უნდა განესაზღვრათ. აღმოჩნდა, რომ სტანდარტულ პოზაში გადაღებული ფოტოები, გარეშე დამკვირვებლებს ამ პირთა მხოლოდ სამი თვისების შესახებ ინფორმაციას იძლეოდნენ. თავისუფალი პოზის მიხედვით კი ისინი მათთვის უცნობ მოხალისეთა, ფაქტობრივად, ათივე პარამეტრზე წარმოდგენას იქმნიდნენ.

ალისას „მამის“ გასაჭირი

ოქსფორდის უნივერსიტეტის მასწავლებელი და ღვთის მსახური — ჩარლზ ლუტვიჯ დოჯსონი, რომელსაც მთელი მსოფლიო ფსევდონიმით ლიუის კეროლი იცნობს, პედანტი და საკუთარ თავში დაურწმუნებელი კაცი , დაბადებიდან ენაბლუ იყო, ბავშვობაში გადატანილი ავადმყოფობის შედეგად ცალ ყურში სმენა დააკლდა, თანაც მთელი ცხოვრების მანძილზე ძლიერი შაკიკი აწუხებდა.

გასული საუკუნის შუა ხანებში, ინგლისელ ფსიქიატრთა ჯგუფმა დეტალურად გაანალიზა ლუის კეროლის უკვდავი წიგნი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ და ავტორისეული ილუსტრაციები. მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ავტორი შაკიკის იშვიათი სახეობით იყო დაავადებული, როცა აურის (ანუ შეტევისწინა ნიშნის დროს, რომელიც ნევროლოგიურ სიმპტომთა მთელი სპექტრით ხასიათდება), კაცი საგნებს დამახინჯებულად, არაპროპორციული სახით ხედავს. ვისაც წიგნი კარგად ახსოვს, იცის, რომ ალისა ხან ძალიან პატარა ჩანს, ხან ძალიან დიდი. ანდა ჩეშირის კატის ცნობილი ღიმილი ავიღოთ, რომელიც მისგან განცალკევებით არსებობდა. ასე გადმოსცემდა მწერალი თავის შეგრძნებებს შაკიკის შეტევის დროს, როცა რაღაც ფანტასმაგორიული ჩვენებები საიდანღაციდან ჩნდებოდა და შემდეგ ნელ-ნელა ჰაერში ქრებოდა.

სნეულების შეტევებს, რომლებიც ხშირად კვირების მანძილზე გრძელდებოდა, კეროლს ბავშვობიდან ტანჯავდა. ამ დროს თავის ტკივილი იმდენად ძლიერი იყო ხოლმე, რომ იგი ზოგჯერ ეკლესიაში წირვის დროს გონს კარგავდა. ერთი შემთხვევა ოჯახის ახლობელს აქვს აღწერილი, როცა ყველამ იფიქრა, რომ კეროლი ლოცულობდა და აღარ შეაწუხეს, არადა შემდეგ, გონს რომ მოვიდა, ცარიელ საყდარში თავგატეხილი ეგდო იატაკზე.

იმ დროს ექიმებს მიაჩნდათ, რომ შაკიკის მიზეზი გადაღლა, ნერვული დაძაბულობა და ხმაური იყო. ამიტომაც ავადმყოფებს ოპიუმის სპირტიან ნაყენს (ლაუდანუმს) უნიშნავდნენ. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ლიუს კეროლმა ჯეროვნად დააფასა ამ წამლის ტკივილგამაყუჩებელი თვისება.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ეძიმო რა მჭირს ხელზე?
— კარგი ვერაფერი — მოტეხილი გაქვთ.
— მოვკვდები?
— რას ამბობთ, ჩემო კარგო. რა თქმა უნდა, არ მოკვდებით!
— როგორ მე უკვდავი ვარ, ექიმო?

* * *

— ერთბაშად ორ ბიჭს ვუყვარვარ — პეტკასა და ვანკას. მითხარით, რომელ მათგანს უფრო გაუმართლებს? — ეკითხება გოგო მკითხავს.

— გაუმართლებს პეტკას, რადგან ვანკას მისთხოვდები.

* * *

— დუსია, როდის გქონდა სექსი ბოლოს?
— ჰმ... ერთი კალენდარი მომაწოდე.
— რომელი წლისა?

* * *

— მამი, თქვენ საბჭოთა არმიაში ხომ გქონდათ ტოლერანტობა? — ეკითხება პეტკა.

— ვინ გითხრა ასეთი სისულელე?
— შენ ხომ თავად მეუბნებოდი, რომ შენთან ერთად მსახურობდნენ უკრაინელები, თათრები, ბურიატები, ქართველები, ლატვიელი და სომეხი. და ყველაფერი კარგად იყო.
— დაიხსომე ერთხელ და სამუდამოდ. ტოლერანტობა — ეს არის სიცრუე, ლიბერალიზმი და ჰომოსექსუალიზმი. საბჭოთა ჯარში კი იყო ხალხთა შორის მეგობრობა.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!